



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამართლის საბაკალავრო პროგრამა

შპს ქუთაისის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

14 აპრილი, 2020 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი

09 ივნისი, 2020 წელი

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	შპს ქუთაისის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212677094
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მიითითებით	სამართლის ბაკალავრი 0421
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ბოგვერაძე, სამართლის დოქტორი, კორმაძის საადვოკატო ბიუროს პარტნიორი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკატერინე ქარდავა, სამართლის დოქტორი, საბაუნის აფელირებული ასოცირებული პროფესორი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი დგებუაძე, სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ- პროფესორი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რუსლან ბედიევი, სამართლის მაგისტრანტი, თბილისის ღია უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

წარმოდგენილი სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის პროგრამაა, რომელიც ხორციელდება ქართულ ენაზე, მისანიჭებელი კვალიფიკაცია განისაზღვრება როგორც „სამართლის ბაკალავრი“.

საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრულია მასზე დაშვების წინაპირობები. პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე. პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი). პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი. 1 კრედიტი მოიცავს 25 საათს. წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა. მათ შორის, 181 კრედიტი ეთმობა ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსებს, ხოლო დარჩენილი კრედიტები, სტუდენტის ინტერესის შესაბამისად ნაწილდება ძირითადი სპეციალობის არჩევით კურსებსა და თავისუფალ კრედიტებზე. არჩევითი სასწავლო კურსების არჩევა ხდება საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია არჩევითი სასწავლო კურსების შესწავლის წინაპირობები და თანმიმდევრობა. პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას და მოიცავს: ლექციებზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადება-ჩაბარებას, პრაქტიკას. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების თანმიმდევრობა განსაზღვრავს საბაკალავრო პროგრამის შინაარსს, სტრუქტურას და სასწავლო გეგმას. პროგრამა შეიცავს სასწავლო გეგმას. იგი სთავაზობს საჯარო, საერთაშორისო, სისხლისა და კერძო სამართლის სავალდებულო და არჩევით სასწავლო კომპონენტებს.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი ჩატარდა დისტანციური ფორმატით ელექტრონული კომუნიკაციების (პროგრამა ზუმით) საშუალებით. ვიზიტი გაიმართა კონსტრუქციულ გარემოში, თუმცა, ვიზიტის მსვლელობის დროს ზოგიერთ შემთხვევაში დისტანციური ჩართვების გარკვეული ხარვეზების გამო ზედმიწევნით ვერ მოხერხდა დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხვადასხვა პანელთან შეხვედრის დროების დაცვა, რის გამოც უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან ცენტრის წარმომადგენელთან რამდენჯერმე დაფიქსირდა თხოვნა დღის წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით (საერთო ჯამში ვიზიტის ხანგრძლივობა დაახლოებით 40 წუთით გადასცდა დღის წესრიგით განსაზღვრულ დროს). ამასთან, შეხვედრების დასრულების შემდგომ ადმინისტრაციის მხრიდან ცენტრის წარმომადგენელთან გაუღერდა გარკვეული უკმაყოფილება უნივერსიტეტის აფელირებულ ასისტენტთან დაკავშირებით ექსპერტების მიერ დასმულ შეკითხვებზე. უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შეხვედრის დასაწყისშივე და, ბოლოს, ძირითადი მიგნებების გაცნობისას, განემარტა, რომ ინტერვიუების მიზანი და, შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის კითხვებიც მიმართული იქნებოდა გასარკვევ/დასაზუსტებელ საკითხებზე ინფორმაციის მისაღებად და ეს არ უნდა აღქმულიყო, როგორც ექსპერტთა მხრიდან კრიტიკული დამოკიდებულება. ზოგადად ვიზიტი ჩატარდა კონსტრუქციულად, ადმინისტრაცია მზად იყო თანამშრომლობისათვის, რაც გამოიხატა როგორც ექსპერტების მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხების განმარტებისა და სხვადასხვა პანელზე მონაწილე პირების დასწრების

უზრუნველყოფის, ასევე ექსპერტების მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენაში.

პირველ პანელში ინტერვიუ შედგა სამართლის სკოლის უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან. განმარტებული იქნა უნივერსიტეტის ფუნქციონირებასთან, პროგრამის შემუშავებასა და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტები.

ვიზიტის მომდევნო პანელი დაეთმო თვითშეფასების ჯგუფთან შეხვედრას და განმარტებული იქნა სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციისათვის მომზადების პროცესი და მასში სხვადასხვა პირთა ჩართულობა.

ვიზიტის მესამე პანელში ინტერვიუ შედგა პროგრამის ხელმძღვანელებთან და განმარტებული იქნა პროგრამასთან დაკავშირებული სხვადასხვა მნიშვნელოვანი ასპექტები.

მომდევნო პანელი დაეთმო აკადემიურ პერსონალთან შეხვედრას, დისტანციურად განხორციელდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება და შემდგომ შედგა შეხვედრა მოწვეულ პერსონალთან. მომდევნო პანელების ფარგლებში ინტერვიუები ჩატარდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებლებთან, უნივერსიტეტში მოქმედ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან, ბიზნესის ადმინისტრირებისა და 1991-2009წწ. მოქმედი სამართლის პროგრამის კურსდამთავრებულებთან.

ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გაუზიარა სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ვიზიტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული ძირითადი მიგნებები.

▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

შპს ქუთაისის უნივერსიტეტის პროგრამული აკრედიტაციის პროცესში თითოეული სტანდარტის შეფასება განხორციელდა კერძო და საჯარო ინტერესების ბალანსირების ღირებულებაზე დაყრდნობით, ერთი მხრივ, სახელმწიფოს განათლების პოლიტიკის მიზნების და, მეორე მხრივ, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის, ეფექტურობის, ეფექტიანობისა და ხარისხის შეპირწონებით. ამასთან, თანაზომიერებისა და გონივრულობის დასაშვებ ფარგლებში, გათვალისწინებულ იქნა რეგიონიზმის პრინციპიც. დასკვნაში აღნიშნული ძირითადი საკითხები უმეტესწილად შეეხება გასაუმჯობესებელ და განსავითარებელ ასპექტებს, რაც ნიშნავს, რომ მის მიღმა და გარეთ დარჩენილი ნუანსები მიჩნეულ იქნა დადებითად ან/და არ ჩაითვალა სპეციალური აღნიშვნისა და ინტერესის საგნად.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შემოწმდა აკრედიტაციის სტანდარტებთან და საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით. პროგრამის აკრედიტაციის მიზნით უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ჩატარებული ვიზიტის შედეგების განხილვისა და გაანალიზების შედეგად ექსპერტთა ჯგუფი მივიდა დასკვნამდე, რომ პროგრამა ნაწილობრივ აკმაყოფილებს სტანდარტებს, კერძოდ, I და II სტანდარტი ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, III სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, IV სტანდარტი ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს და V სტანდარტი მეტწილადაა მოთხოვნებთან შესაბამისი. აღნიშნულის გათვალისწინებით,

განისაზღვრა გარკვეული საკითხები, რომლის გათვალისწინებაც მიზანშეწონილია პროგრამის სათანადო ფუნქციონირებისა და მისი შედეგების მისაღწევად.

რეკომენდაციები

- მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც ასახავს უშუალოდ პროგრამისკენ მიმართული ინტერნაციონალიზაციის საკითხს და მისი განვითარების კონკრეტულ გეგმებს
- მიზანშეწონილია, განხორციელდეს შრომის ბაზრის შედარებით დეტალური ანალიზი ბაზარზე არსებულ მოთხოვნებსა და გამოწვევებზე და დამსაქმებლების აქტიურად ჩართვა პროგრამის შემუშავების პროცესში
- მიზანშეწონილია, VIII შედეგად განსაზღვრული სწავლის შედეგის იმ ნაწილის კორექტირება, რომელიც განსაზღვრავს შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით ქართულ და უცხო ენაზე ინფორმაციის მოძიებასა და გაანალიზებას. მიზანშეწონილია, დაკონკრეტდეს უცხო ენა და მის ნაცვლად განისაზღვროს ინგლისური ენა, ვინაიდან, პროგრამა აქცენტირებულია ინგლისური ენისა და დარგობრივი ინგლისურის შესწავლაზე და სტუდენტებს საკუთარი არჩევანით სხვა ენის შესწავლის შესაძლებლობა არ აქვთ, დასახელებული შედეგის მიღწევა მხოლოდ ინგლისურ ენაზე არსებული ინფორმაციის მოძიებასა და გაანალიზებაზე შეიძლება იყოს ორიენტირებული
- მიზანშეწონილია, სამართლის პროგრამისათვის, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, განსაზღვრული იყოს სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა, სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და შეფასების პროცესი
- სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი, მიზანშეწონილია, უფრო მეტად მოიცავდეს ინტერნაციონალიზაციის ელემენტებს. უნივერსიტეტმა, მიზანშეწონილია, დაგეგმოს, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ისე მოარგოს ინტერნაციონალიზაციის პროცესს, რომ სტუდენტებს თანაბრად ჰქონდეთ სამართლის სხვადასხვა მიმართულებით თანამედროვე თეორიისა და შესაბამისი პრაქტიკის შესწავლის შესაძლებლობა. მეთოდოლოგიამ უნდა უზრუნველყოს საერთაშორისო/ადგილობრივ საგრანტო პროექტებში სტუდენტების მაღალი ჩართულობა, რომ უნივერსიტეტის შესაძლებლობები, ძლიერი მხარეები, ოპტიმალურად იყოს გამოყენებული.
- სამართლის საბაკალავრო პროგრამაში სასწავლო კურსებს, მიზანშეწონილია, ისეთი აკადემიური და მოწვეული პერსონალი ხელმძღვანელობდეს, რომლებსაც შესაბამის ან დაკავშირებულ დისციპლინაში აქვთ სათანადო კვლევა, გამოქვეყნებული ნაშრომები ან პროფესიული გამოცდილება.
- პროგრამის განვითარებისთვის, მიზანშეწონილია, საგანმანათლებლო პროგრამაში სხვადასხვა მიმართულების სასწავლო კურსები მკაფიოდ იყოს სპეციალიზირებული ბაკალავრიატის საფეხურის მიზნებისათვის, მაგისტრატურის საფეხურისთვის სასწავლო კურსების დუბლირების თავიდან აცილების, სამართლის დარგობრივი მახასიათებლის უზრუნველყოფის მიზნით. მიზანშეწონილია, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო, განსაკუთრებით, პრაქტიკული კურსი, მაქსიმალურად იყოს ორიენტირებული

აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატი) დონეზე, რომ არ შეიცავდეს აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის (მაგისტრატურა) ელემენტებს, საგნების დუბლირების თავიდან აცილების მიზნით.

- მიზანშეწონილია, პრაქტიკული კომპონენტების სტრუქტურირება მოხდეს ისე, რომ იგი არ მოიცავდეს ისეთი აქტიური პრაქტიკის კომპონენტებს, რომლებიც უნდა უზრუნველყოს სამართლის სამაგისტრო საფეხურმა (კერძოდ, თანმიმდევრული გადასვლა პასიური პრაქტიკიდან აქტიურ პრაქტიკაზე).
- სამართლის საბაკალავრო პროგრამაში მოცემული სასწავლო კურსის სწავლის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა, მიზანშეწონილია, სრულად შეესაბამებოდეს ამ კურსის სწავლის შედეგებს. ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსი საჭიროებს დახვეწას.
- პროგრამის ფარგლებში, მიზანშეწონილია, სხვადასხვა მიმართულებით გამოიყენებოდეს თანამედროვე ლიტერატურა.
- უნივერსიტეტი მუშაობს პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებაზე - გაფორმებულია მემორანდუმი სხვადასხვა ორგანიზაციასთან. მათ შორის, ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ დამსაქმებელი თანამშრომლობს ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, თუმცა, მიზანშეწონილია, ეს თანამშრომლობა იყოს ეფექტიანი.
- მიზანშეწონილია, ეფექტური, ობიექტური და გამჭვირვალე სისტემა, სურვილის შემთხვევაში სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრების უზრუნველყოფისათვის. უნდა მოხდეს შეფასების შედეგების ანალიზი და მისი გამოყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად.
- მიზანშეწონილია, სასწავლო პროცედურის ეფექტურობის ამაღლების მიზნით, სტუდენტთათვის უკუკავშირის მიცემის მექანიზმის დახვეწა სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად, ასევე, სტუდენტების ძლიერი და სუსტი მხარეების თაობაზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით.
- მიზანშეწონილია, უნივერსიტეტის სამართლის პროგრამის სტუდენტებს ჰქონდეთ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა, რის თაობაზეც უნივერსიტეტმა უნდა მოამზადოს შესაბამისი დოკუმენტაცია.
- სილაბუსის შინაარსი და სავალდებულო ან/და დამატებითი ლიტერატურა ერთმანეთთან კავშირში უნდა იმყოფებოდეს. ლიტერატურა რეალურად, არსებითად უნდა იყოს სასარგებლო სილაბუსით განსაზღვრული ცოდნის მისაღებად. არ არის აუცილებელი ლიტერატურის ნაწილი დაიტვირთოს და რაოდენობა მიჩნეულ იქნეს ხარისხად.
- სილაბუსის შინაარსი და სათაური ურთიერთშესაბამისი უნდა იყოს.
- სასწავლო საგნების სავალდებულო კურსებად განსაზღვრა პირდაპირ უნდა ეხმიანებოდეს სამართლის დარგობრივ მახასიათებლებს (სწავლის შედეგები; პროფესიაში შესვლა). აგრეთვე, სტუდენტს არ უნდა გაუჩნდეს შეგრძნება, რომ ის იძულებულია გაიაროს ერთმანეთის მსგავსი სავალდებულო საგნები.
- საუნივერსიტეტო გადაწყვეტილებები სრულად შესაბამისი უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობასთან.

- ნებისმიერი საგნის სილაბუსი უნდა ამჟღავნებდეს, რომ აკადემიური პერსონალი თავის სფეროში იცნობს მიღწევას, პროგრესს. განსაკუთრებით საქართველოს სამართლის დინამიურობის გათვალისწინებით (რაც განპირობებულია დემოკრატიზაციის პროცესით, ასევე, ასოცირების შეთანხმების შესრულების კონტექსტით) ხშირად იცვლება კანონები, ხდება მოდიფიცირება ინსტიტუტების, მიდგომების, ადგილი აქვს ახალ სასამართლო გადაწყვეტილებებს, რაც უახლესი ლიტერატურის სახით უნდა აისახოს.
- მნიშვნელოვანია აკადემიური პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შეფასება და გაანალიზება (სხვა სამსახურებთან (არა მხოლოდ უნივერსიტეტებში) შეთავსების კონტექსტშიც). ასეთი შეფასება და გაანალიზება უნდა ემსახუროდეს რეალური დატვირთვის განსაზღვრას ან იმის მტკიცებას, რომ პირი მუშაობს უნივერსიტეტში, სადაც უზრუნველყოფილია სრული დატვირთვის (სასწავლო, ადმინისტრაციული, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის) ღირსეული ანაზღაურება (ისე, რომ აკადემიურ პერსონალს არ სჭირდებოდეს სხვა მრავლობითი შეთავსებითი სამუშაოები). ამ რეკომენდაციის მიზანია - ბალანსირება უნივერსიტეტის ინტერესებსა და დასაქმებულის ინტერესებს შორის.
- რამდენადაც აკადემიური პერსონალის განვითარება პროგრამის ხარისხის და დინამიკაში გაძლიერების გარანტორია, უმნიშვნელოვანესია აკადემიური პერსონალის ხელშეწყობა და მხარდაჭერა უშუალოდ უნივერსიტეტის მხრიდან, რაშიც იგულისხმება დახმარება და წახალისება შემდეგი მიმართულებით:
 - საერთაშორისო (უცხოენოვან ან ორენოვან) შესაფერის სამართლის სამეცნიერო ჟურნალებში სტატიათა გამოქვეყნება.
 - სახელმძღვანელოების, ჰენდაუთების რედაქტირება და გამოცემა;
 - ქვეყნის გარეთ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა;
 - შიდა საუნივერსიტეტო კვლევებში ჩართულობის უზრუნველყოფა (შესაბამისი დაფინანსებით).
 - საერთაშორისო კვლევით და სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობის უზრუნველყოფა ან ამისთვის სათანადო პირობების შექმნა (შესაბამისი ანაზღაურებით).
 - გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა (Erasmus+, სხვა).
 - და სხვა.
- პერსონალის განვითარებისათვის არსებითად მნიშვნელოვანია სათანადო ბიუჯეტი, დაფინანსების წყაროები, განვითარების სამუშაო თუ სხვა პირობების შექმნა-გაძლიერება.
- საერთაშორისო ბაზების გამოყენების სპეციალური ტრენინგების ან მუდმივი საინფორმაციო პოლიტიკის უზრუნველყოფა პერსონალისათვის, სტუდენტებისათვის, რომელთა ცოდნისა და განვითარებისათვის ნაყიდაა ეს ბაზები. არ არის აუცილებელი უნივერსიტეტმა გასწიოს დიდი (არათანაზომიერი) ხარჯები და მხოლოდ აკრედიტაციის მიზნებისთვის შეისყიდოს მეტი და მეტი იურიდიული საბიბლიოთეკო ბაზები. მთავარია, შექმნას უკვე შესყიდული, ხელთ არსებული ბაზების რეალური გამოყენების შესაძლებლობები და ეტაპობრივად განავითაროს. პროგრამა უნდა უზრუნველყოფდეს

(პოზიტიური ზეგავლენით) ამ ზაზების აუცილებლად გამოყენების ვითარებას როგორც სტუდენტების მხრიდან, ასევე, აკადემიური პერსონალის მხრიდან (სილაბუსში მითითებული საშინაო დავალებების, რეფერატების, საბაკალავრო ნაშრომების შესრულების და სხვა აქტივობების კონტექსტში).

- მატერიალურ-ტექნიკური, ლოჯისტიკური ზაზა საჭიროებს გაძლიერებას, გაზრდას და ბიუჯეტშიც სათანადოდ ასახვას.
- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას უნდა ჰქონდეს დამაჯერებელი, განჭვრეტადი, რაციონალური, ქმედითი, რეალისტური ბიუჯეტი, რომელიც უზრუნველყოფს ყველა იმ ღონისძიების განხორციელებას, რაც კი ასახულია საუნივერსიტეტო აქტებში, სილაბუსებში, ხელშეკრულების ნიმუშებში, დანიშვნის ბრძანებებში, პროგრამაში და ა.შ.
- საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი გამჭვირვალე უნდა იყოს პერსონალის შრომითი უფლებების დაცვის პოლიტიკის ფარგლებში.
- აფელირების პოლიტიკა არ უნდა იყოს მხოლოდ ვალდებულების პოლიტიკა აკადემიური პერსონალისათვის, ის უნდა იყოს მათი დაცვის, ღირსეული შრომისა და ყოფის/კეთილდღეობის განმსაზღვრელი. სხვაგვარად არის საფრთხე, აფელირების ინსტიტუტი, იქცეს არასახარბიელო პრაქტიკის ჩამოყალიბების ინსტრუმენტად.
- მიზანშეწონილია, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის რეალური ასახვა იმისათვის, რომ ნათლად იყოს წარმოჩენილი რეგულაციებით დადგენილი ციკლის პრაქტიკული შესრულება
- მიზანშეწონილია, თვითშეფასების ანგარიშში აისახოს პროგრამის გარე ხარისხის შედეგები სრულყოფილად, მათ შორის ამ შეფასების შედეგები და მათი გათვალისწინება პროგრამის შემუშავებისა თუ ცვლილების პროცესში
- სამართლის პროგრამის განვითარებისათვისათვის მიზანშეწონილია, მისი უცხოური უნივერსიტეტის ანალოგიურ პროგრამასთან დადარება, დადარების შედეგების ანალიზი და, აუცილებლობის შემთხვევაში, შედეგების გამოყენება. აღნიშნული ანალიზი აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი არ ყოფილა
- მიზანშეწონილია, წარმოდგენილი იქნეს ურთიერთდასწრების პოლიტიკით განსაზღვრული პროცესის ამსახველი დოკუმენტი შესრულებული ოქმისა და ანალიზის შედეგების გათვალისწინებით

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- კურიკულუმის რუკაში ტექნიკური ხარვეზია, რუკის იმ ნაწილში, სადაც შეჯამების სახით წარმოდგენილია სასწავლოს კურსების რაოდენობა თითოეულ სწავლის შედეგის მიღწევასთან მიმართებით, მე-11 სწავლის შედეგის გრაფა ცარიელია (დაჯამების მიხედვით აქ უნდა ეწეროს 7 სასწავლო კურსი). სასურველია, ამ ტექნიკური ხარვეზის გასწორება
- პროგრამა ორიენტირებულია 11 სწავლის შედეგის მიღწევაზე, რაც გარკვეულწილად აჭარბებს სწავლის შედეგების სარეკომენდაციო რაოდენობას. შესაბამისად, იმისათვის, რომ

სწავლის შედეგები რეალისტური, მიღწევადი და გაზომვადი იყოს, სასურველია, მათი რაოდენობრივად შემცირება. აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია რომელიმე სწავლის შედეგის ამოღებით ან ორი ან მეტი შედეგის ერთ შედეგში გაერთიანებით.

- სასურველია, თავისუფალი კომპონენტების არჩევითი სასწავლო კურსები უფრო იყოს დაკავშირებული სამართლის საბაკალავრო პროგრამის შინაარსთან და სტრუქტურასთან, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად.
- პროგრამის განვითარებისთვის, სასურველია, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობების მხარდასაჭერად, სწავლება-სწავლის თანამედროვე მეთოდების დასანერგად, პერიოდულად ჩატარდეს აკადემიური პერსონალისთვის გადამზადების კურსები.
- პრაქტიკული კომპონენტების (კლინიკის) სტრუქტურირება, სასურველია, მოხდეს ისე, რომ იგი არ მოიცავდეს ისეთი აქტიური პრაქტიკის კომპონენტებს, რომლებიც უნდა უზრუნველყოს სამართლის სამაგისტრო საფეხურმა (კერძოდ, თანმიმდევრული გადასვლა პასიური პრაქტიკიდან აქტიურ პრაქტიკაზე).
- რამდენადაც პროგრამა ორიენტირებულია არა მხოლოდ ზოგადი ინგლისურის, არამედ დარგობრივი ინგლისურის სწავლებაზეც, სასურველია, ამის ერთგვარი შედეგი (გამართლება) კარგად და ნათლად ვლინდებოდეს V-VIII სემესტრის საგნებში უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენებით ან სხვა კონტექსტში.
- სასურველია, აკადემიური პერსონალის რეზუმეების მოწესრიგება (აქ არ იგულისხმება ერთი შაბლონის ქვეშ მოქცევა, მხოლოდ ინფორმაციული სრულყოფა და აკადემიურობა).
- სასურველია, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოწესრიგება, სისტემატიზირება.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

▪ განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

შპს ქუთაისის უნივერსიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი“) „ქუთაისის უნივერსიტეტი“-ს სახელწოდებით საქმიანობს 2010 წლიდან ქალაქ ქუთაისში. უნივერსიტეტი დაფუძნდა 1991 წელს ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის ინსტიტუტის სახელწოდებით და მოგვიანებით გარდაიქმნა ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის ინსტიტუტად. ინსტიტუტის მიერ შეთავაზებული აკადემიური ხარისხის პროგრამების შედეგად, 1992 წელს შეიცვალა დაწესებულების სტატუსი და იქცა ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტად. იმ დროისთვის, სხვა პროგრამებთან ერთად უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა სამართლის პროგრამაც (1991-2009წ.წ.) (იხ. უნივერსიტეტის ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა; უნივერსიტეტის 2019-2026 წ.წ.-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული შენიშვნების გათვალისწინების, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობისა და სასწავლო რესურსების ახალი მფლობელის მიზნებისა და მოთხოვნების შესაბამისად განვითარების მიზნით 2019 წელს დამტკიცდა უნივერსიტეტის განახლებული 2019-2026 წწ-ის სტრატეგიული განვითარების გეგმა (შემდგომში „სტრატეგიული განვითარების გეგმა“; იხ. სტრატეგიული განვითარების გეგმა, გვ. 2). აღნიშნული მიზნით სტრატეგიული განვითარების გეგმასთან ერთად უნივერსიტეტში 2019 წელს შემუშავდა და დამტკიცდა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი ძირითადი დოკუმენტები, მათ შორის, უნივერსიტეტის წესდება, დებულება, შინაგანაწესი, სტრატეგიული განვითარების გეგმა, სტუდენტად მიღების ინსტრუქცია, პერსონალის მართვის სახელმძღვანელო, საქმისწარმოების წესი, ეთიკის კოდექსი, აკადემიური, მოწვეული და მასწავლებელთა შეფასების პროცედურა, ურთიერთდასწრების პოლიტიკა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კონცეფცია და პოლიტიკა, ხარისხის შიდა კვლევების პროცედურების სახელმძღვანელო. აღნიშნული დასტურდება უნივერსიტეტის მიერ აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი სხვადასხვა მარეგულირებელი დოკუმენტის მიღების თარიღებით (2019 წელი) და დაზუსტდა ინტერვიუს პროცესშიც.

უნივერსიტეტის მისიაა „ცოდნის შექმნა და გავრცელება; უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე, გაცნობიერებული და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღების უნარის მქონე, კეთილსინდისიერი და მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნების, ეროვნული და

ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, მათი უნიკალური ინდივიდუალური თავისებურებების წახალისება და განვითარების ხელშეწყობა, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის სწავლა-სწავლებისა და კვლევის მიმზიდველი სამუშაო, სასწავლო და რეკრეაციული გარემოს შეთავაზებით. აგრეთვე, აცნობიერებს რა მის სოციალურ პასუხისმგებლობას, თავის და საზოგადოებრივ საქმიანობებში ჩართულობით უნივერსიტეტი ხელს უწყობს რეგიონის პროფესიულ, კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას“ (იხ. სტრატეგიული განვითარების გეგმა, გვ. 6; თვითშეფასების ანგარიში, გვ. 15; უნივერსიტეტის ვებ-გვერდი <https://www.unik.edu.ge/Mission>).

სამართლის საბაკალავრო პროგრამა (შემდგომში „სამართლის საბაკალავრო პროგრამა“ ან „პროგრამა“) უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოზე დამტკიცდა 2019 წლის 29 ნოემბერს. თვითშეფასების ანგარიშისა და პროგრამის შესახებ დოკუმენტის/კურიკულუმის მიხედვით ირკვევა, რომ სამართლის საბაკალავრო პროგრამა 3 მიზნის გარშემოა ფორმულირებული:

1. „კონკურენტუნარიანი იურისტის მომზადება, რომელიც სწრაფად ცვალებად გარემოში შეძლებს ადაპტირებას და პროფესიულ განვითარებას;
2. შესაბამისი ფართო თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით აღჭურვილი იურისტის მომზადება, რომელიც მიღებული ცოდნის საფუძველზე შეძლებს სამართლებრივი პრინციპების კრიტიკულად გააზრებასა და პრობლემების გადაჭრას;
3. იურისტის მომზადება, რომელიც პროფესიული საქმიანობისას მოქმედებს ეთიკური სტანდარტების გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში მოწოდებულია საკუთარი წვლილი შეიტანოს დემოკრატიული საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობაში“.

პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა წვლილი შეაქვს დარგის განვითარებაში და როგორი კომპეტენციის მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული.

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, პროგრამის მიზნების ფორმირება განხორციელდა პოტენციური დამსაქმებლებისა და 1991-2009წწ სამართლის პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვების საფუძველზე მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით. ამასთან, პროგრამის კონცეფცია, ასევე, ეყრდნობა შრომის ბაზრის კვლევას (იხ. თვითშეფასების ანგარიში, გვ. 14). ზემოაღნიშნული გამოკითხვები უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი იქნა პროგრამის აკრედიტაციის მიზნით მოწოდებულ დოკუმენტაციაში (ოთხი კურსდამთავრებულის გამოკითხვა და სხვადასხვა პოტენციური დამსაქმებლის გამოკითხვის შესახებ დოკუმენტაცია). გამოკითხვების ძირითადი ნაწილი აქცენტირებას ახდენს პროგრამაში პრაქტიკული სასწავლო კომპონენტების გაძლიერების აუცილებლობაზე, რაც აისახა პროგრამის მიზნებსა და კურიკულუმშიც. თუმცა, გამოკითხვის დოკუმენტაციაში მოცემული ინფორმაცია შედარებით მწირია. აღსანიშნავია ისიც, რომ უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით (2019 წლის 24 ნოემბრის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის

სხდომის ოქმი N3), პროგრამის კომიტეტის სხდომაზე გამოკითხვის შედეგების განხილვის შედეგად განხორციელდა პროგრამის სწავლის შედეგის მოდიფიცირება (იხ. 2019 წლის 24 ნოემბრის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის სხდომის ოქმი N3).

შრომის ბაზრის კვლევის ამსახველი დოკუმენტი (ინფორმაცია მოცემულია უნივერსიტეტის მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის დასკვნაში) ძირითადად ასახავს სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობებს, კერძო და საჯარო სექტორში იურისტის პოზიციაზე გამოცხადებული ვაკანსიების შესაბამის სტატისტიკას და აღნიშნულ პროგრამაზე აბიტურიენტთა დაინტერესებას. დოკუმენტი შეიცავს მწირ ინფორმაციას შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და გამოწვევებზე, რომლებიც, საბოლოო ჯამში, უნდა გამხდარიყო ერთ-ერთი განმსაზღვრელი პროგრამის მიზნებისა და მისი შედეგების ჩამოსაყალიბებლად. ამდენად, შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნებისა და გამოწვევების საპასუხოდ პროგრამის მიზნების ჩამოსაყალიბებლად უმჯობესი იქნებოდა შრომის ბაზრის შედარებით დეტალური ანალიზი და პოტენციური დამსაქმებლების მეტად ჩართვა პროგრამის შემუშავების პროცესში.

მიუხედავად იმისა, რომ სამართლის სამაგისტრო პროგრამისა და სადოქტორო პროგრამისაგან განსხვავებით, სამართლის საბაკალავრო საფეხურზე საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები შეიძლება ნაკლებად აქტუალური იყოს სამართლის დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი პროგრამის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად მოიაზრება. ამასთან, ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით მომავალი შვიდი წლის განმავლობაში უნივერსიტეტის ერთ-ერთ ძირითად ამოცანადაა განსაზღვრული და მის მნიშვნელობაზე მიუთითებს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის შესახებ დოკუმენტიც. შესაბამისად, მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც ასახავს უშუალოდ პროგრამისკენ მიმართული ინტერნაციონალიზაციის საკითხს და მისი განვითარების კონკრეტულ გეგმებს.

პროგრამის მიზნები ძირითადად თანხვედრაშია კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო კურსების მიზნებთან. რაც შეეხება პროგრამის მიზნების რეალისტურობასა და მიღწევადობას, ამ თვალსაზრისით გასათვალისწინებელია სამართლის საბაკალავრო პროგრამისათვის აუცილებელი ის ძირითადი კომპონენტები, რაც წარმოადგენს პროგრამის ძირითადი მიზნების მიღწევის აუცილებელ საშუალებებს: (ა) სამართლის პროგრამის სტრუქტურა, შესამისობა დარგობრივ მახასიათებლებთან, თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და მისი გაჯერება, პირველ რიგში, იმგვარი სავალდებულო სასწავლო კურსებით, რომლებიც, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფენ პროგრამის მიზნების განხორციელებას; (ბ) უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა - სათანადო სასწავლო სივრცე; (გ) თანამედროვე ინტერნეტ და მატერიალურ სამართლებრივ გამოცემებზე ხელმისაწვდომობა, რაც, თავის მხრივ, მოიცავს თანამედროვე სტანდარტების ბიბლიოთეკის არსებობას; (დ) მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელიც, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი იურისტის მომზადებას; და (ე) პროგრამის ფინანსური მდგრადობა. დასახელებულ თითოეულ კომპონენტთან დაკავშირებით

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განსაზღვრული იქნა გარკვეული სახის რეკომენდაციები, რომელთა შეუსრულებლობის შემთხვევაში ექვის ქვეშ დგება პროგრამის მიზნების რეალისტურობა და მიღწევადობა. უნივერსიტეტის ვებგვერდზე (https://www.unik.edu.ge) პროგრამის მიზნები საჯაროდ ხელმისაწვდომია, ვებგვერდზე, ასევე, განთავსებული და ხელმისაწვდომია პროგრამა, პროგრამის სასწავლო გეგმა, უნივერსიტეტის ძირითადი და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სხვადასხვა დოკუმენტი, მათ შორის უნივერსიტეტის წესდება, დებულება, შინაგანაწესი, სტრატეგიული განვითარების გეგმა, სტუდენტად მიღების ინსტრუქცია, პერსონალის მართვის სახელმძღვანელო, საქმისწარმოების წესი, ეთიკის კოდექსი, აკადემიური, მოწვეული და მასწავლებელთა შეფასების პროცედურა. ინტერვიუს შედეგებმა აჩვენა, რომ პროგრამის მიზნები გაზიარებულია მასში ჩართული პირების მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამართლის საბაკალავრო პროგრამა ○ თვითშეფასების ანგარიში ○ დამსაქმებელთა გამოკითხვები ○ შრომის ბაზრის კვლევის შესახებ დოკუმენტი ○ უნივერსიტეტის 2019-2026 წ.წ.-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა ○ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა ○ უნივერსიტეტის ვებგვერდი ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: ○ მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც ასახავს უშუალოდ პროგრამისკენ მიმართული ინტერნაციონალიზაციის საკითხს და მისი განვითარების კონკრეტულ გეგმებს ○ მიზანშეწონილია, განხორციელდეს შრომის ბაზრის შედარებით დეტალური ანალიზი ბაზარზე არსებულ მოთხოვნებსა და გამოწვევებზე და დამსაქმებლების აქტიურად ჩართვა პროგრამის შემუშავების პროცესში
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობას, რომლებიც დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად სტუდენტს მოეთხოვება შესაბამის საფეხურზე სწავლის დასრულებისას.

პროგრამის სწავლის შედეგები ჩაშლილია სამდონოვან სწავლის შედეგად, რაც შესაბამისობაშია საქართველოს კანონთან „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ (2/ მუხლის 1-ელი პუნქტი „გ“ ქვეპუნქტი) და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანებასთან „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“. სწავლის შედეგების სამდონოვანი ჩაშლის პრინციპი გამოყენებულია პროგრამის შემადგენელ ნაწილში - სილაბუსებშიც, შესაბამისად, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების სამ კომპონენტად განსაზღვრას შეესაბამება პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსების სილაბუსებიც.

პროგრამა ორიენტირებულია 11 სწავლის შედეგის მიღწევაზე, რაც გარკვეულწილად აჭარბებს სწავლის შედეგების სარეკომენდაციო რაოდენობას. შესაბამისად, იმისათვის, რომ სწავლის შედეგები რეალისტური, მიღწევადი და გაზომვადი იყოს, მიზანშეწონილია, მათი რაოდენობრივად შემცირება. აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია რომელიმე სწავლის შედეგის ამოღებით ან ორი ან მეტი შედეგის ერთ შედეგში გაერთიანებით.

მიზანშეწონილია, VIII შედეგად განსაზღვრული სწავლის შედეგის იმ ნაწილის

კორექტირება, რომელიც განსაზღვრავს შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით ქართულ და უცხო ენაზე ინფორმაციის მოძიებასა და გაანალიზებას. მიზანშეწონილია, დაკონკრეტდეს უცხო ენა და მის ნაცვლად განისაზღვროს ინგლისური ენა, ვინაიდან, პროგრამა აქცენტირებულია ინგლისური ენისა და დარგობრივი ინგლისურის შესწავლაზე და სტუდენტებს საკუთარი არჩევანით სხვა ენის შესწავლის შესაძლებლობა არ აქვთ, დასახელებული შედეგის მიღწევა მხოლოდ ინგლისურ ენაზე არსებულ ინფორმაციის მოძიებასა და გაანალიზებაზე შეიძლება იყოს ორიენტირებული.

პროგრამის მიმართ უნივერსიტეტს შესრულებული აქვს შრომის ბაზრის კვლევა და პოტენციურ დამსაქმებელთა, 1991-2009წწ სამართლის პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვები. თუმცა, შრომის ბაზრის კვლევის ამსახველი დოკუმენტი შეიცავს მწირ ინფორმაციას შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და გამოწვევებზე, რომლებიც, საბოლოო ჯამში, უნდა გამხდარიყო ერთ-ერთი განმსაზღვრელი პროგრამის შედეგების ჩამოსაყალიბებლად. ამდენად, შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნებისა და გამოწვევების საპასუხოდ პროგრამის შედეგების ჩამოსაყალიბებლად უმჯობესი იქნებოდა შრომის ბაზრის შედარებით დეტალური ანალიზი და პოტენციური დამსაქმებლების მეტად ჩართვა პროგრამის შემუშავების პროცესში.

პროგრამა განსაზღვრავს კურიკულუმის რუკას, რომელიც არსებითია სწავლის შედეგების პროგრამის მიზნებთან შესაბამისობის დადგენისათვის და ასახავს კავშირს პროგრამის სწავლის შედეგებსა და თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს შორის. თითოეულ სასწავლო კურსთან მიმართებით განსაზღვრულია გაცნობა/გაღრმავება/განმტკიცების დონეების ინდიკატორები, რომლებიც აღნიშნავს, თუ რა დონით ავითარებს სასწავლოს კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს.

კურიკულუმის მიხედვით, ყველა სასწავლო კურსი რამდენიმე შედეგის მიღწევაზეა ორიენტირებული. კურიკულუმის რუკაში ტექნიკური ხარვეზია, რუკის იმ ნაწილში, სადაც შეჯამების სახით წარმოდგენილია სასწავლოს კურსების რაოდენობა თითოეულ სწავლის შედეგის მიღწევასთან მიმართებით, მე-11 სწავლის შედეგის გრაფა ცარიელია (დაჯამების მიხედვით აქ უნდა ეწეროს 7 სასწავლო კურსი). მიზანშეწონილია, ამ ტექნიკური ხარვეზის გასწორება.

პროგრამის სწავლის შედეგები ძირითადად შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, თუმცა არასრულად (დეტალური მსჯელობა იხ. წინამდებარე დასკვნის მე-2 სტანდარტის შეფასების ნაწილში):

- პროგრამით განსაზღვრულ რამდენიმე სასწავლო კურსთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული შეუსაბამოებები. მიზანშეწონილია, პროგრამაში სხვადასხვა მიმართულების სასწავლო კურსი მკაფიოდ იყოს სპეციალიზირებული ბაკალავრიატის საფეხურის მიზნებისათვის მაგისტრატურის საფეხურზე სასწავლო კურსების დუბლირების თავიდან აცილებისა და სამართლის დარგობრივი მახასიათებლის უზრუნველყოფის მიზნით, განსაკუთრებით, პრაქტიკული კურსები, მიზანშეწონილია, მაქსიმალურად იყოს ორიენტირებული აკადემიური

უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის დონეზე და არ უნდა შეიცავდეს აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის ელემენტებს:

- მაგალითად, აკადემიური წერის სასწავლო კურსის შინაარსი მკაფიოდ არ განსაზღვრავს წერის, კვლევის, ციტირებისა და აკადემიური ნაშრომის შედგენისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლების აუცილებლობას (მით უფრო, საწყის ეტაპზე), როდესაც იგი შეიძლება მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილი იყოს (სხვადასხვა სამართლის სამაგისტრო პროგრამა შეიცავს ასეთ სასწავლო კურსს).
- მისასაღმებელია, რომ პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკულ კომპონენტებს, რომლებიც სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აუცილებელი კომპონენტია და შრომითი ბაზრის ერთ-ერთი გამოწვევაა, თუმცა, რამდენიმე სავალდებულო სასწავლო კურსთან დაკავშირებით ფიქსირდება შემდეგი ხასიათის შეუსაბამობები დარგობრივ სტანდარტთან შესაბამისობის თვალსაზრისით: მაგალითად, სამოქალაქო სამართალში სასამართლო უნარ-ჩვევების სასწავლო კურსის შინაარსი ძირითადად აქცენტირებულია ადვოკატის უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე (ადვოკატის უფლებები და მოვალეობები, კლიენტთან ინტერვიუ, ადვოკატის ეთიკის ნორმები, მტკიცებულებების მოპოვება, ადვოკატის პოზიციის დასაბუთება, ადვოკატი სამოქალაქო სამართალწარმოებაში, პაექრობა და სხვა). მიზანშეწონილია, თემატიკა/შინაარსი და სათაური ერთმანეთს შეესაბამებოდეს. ამასთან, პროგრამა სასამართლო უნარ-ჩვევების სწავლებას სავალდებულოდ ითვალისწინებს სამი 6 კრედიტიანი სასწავლო კურსის მეშვეობით სამოქალაქო სამართალში, სისხლის სამართალსა და ადმინისტრაციულ სამართალში. პრაქტიკულად, სტუდენტს სამჯერ სავალდებულოდ მოუწევს ერთი სპეციფიკის სასწავლო კურსის გავლა, მაშინ, როდესაც შესაძლებელია, სტუდენტს მისცემოდა შესაძლებლობა საკუთარი პროფილის ჩამოყალიბების მიზნით, დამატებით აერჩია აღნიშნული სასწავლო კურსი შესაბამისი მიმართულებით. აღნიშნულთან დაკავშირებით დამატებით აღსანიშნავია ინტერვიუს პროცესში პროგრამის ხელმძღვანელების მხრიდან განმარტება პროგრამაზე კონცენტრაციის არარსებობასთან დაკავშირებით, რომლის შესაბამისადაც სავალდებულო საგნების განსაზღვრა სამართლის სხვადასხვა მიმართულებით სტუდენტისთვის ზრდის დასაქმების არეალს, აძლევს მას შესაძლებლობას, უნივერსიტეტის დამთავრების შემდგომ აზრის ცვლილების შემთხვევაში, გამოიყენოს სამართლის სფეროს სხვადასხვა მიმართულებით მიღებული თეორიული ცოდნა პრაქტიკულ უნარებთან ერთად და უზრუნველყოფს სხვადასხვა სექტორში მისი დასაქმების თანაბარ შესაძლებლობებს. მართალია, კონცენტრაციის არსებობა საბაკალავრო საფეხურზე არ არის სავალდებულო, თუმცა სამართლის სხვადასხვა სფეროში ერთმანეთის მსგავსი სპეციფიკის საგნების სავალდებულო სასწავლო კურსებად განსაზღვრა არ იქნება მიზანშეწონილი.

პროგრამის ძირითადი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის

სწავლის შედეგებს, თუმცა მათი ერთიანობა სრულად ვერ უზრუნველყოფს პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას:

- მაგალითად, ხელშეკრულების შედგენის მეთოდოლოგია სავალდებულო საგანია და ისწავლება IV სემესტრში. სილაბუსით განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულების შედგენის თავისებურებანი, მაშინ, როდესაც შრომის სამართალი ისწავლება VI სემესტრში. შესაბამისად, სტუდენტი ვერ შეძლებს სათანადოდ გაიაზროს შრომითი ხელშეკრულების შედგენის თავისებურებები. ამასთან, სილაბუსი დატვირთულია სხვადასხვა სახის ხელშეკრულებებზე მუშაობით ერთი სემესტრის ფარგლებში, რაც არ შეიძლება იყოს საკმარისი კურსის შედეგების და, საბოლოო ჯამში, პროგრამის შედეგების მისაღწევად. კურსის მიზანი ხელშეკრულების შედგენის მინიმალური სტანდარტის ცოდნაზე და, ბუნებრივია, საბაკალავრო დონეზე სხვადასხვა სირთულის ხელშეკრულების შედგენის სიღრმისეული შესწავლა ვერ განხორციელდება;
- სამართლის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსებზე თანაბრად არ არის გამოყენებული თანამედროვე ლიტერატურა (მაგალითად, შრომის სამართალი, ევროკავშირის სამართალი, საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი, საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი). ზოგიერთ სასწავლო კურსში (მაგალითად, საარბიტრაჟო სამართალი, რომელიც ისწავლება VII სემესტრში) არ არის მითითებული ინგლისურენოვანი ლიტერატურა, რაც უზრუნველყოფს დარგში საერთაშორისო და თანამედროვე მიღწევების გაზიარებასა და შესწავლას, იმ პირობებში, როდესაც პროგრამაზე აქცენტირებულია ინგლისური ენა და გათვალისწინებულია დარგობრივი ინგლისურის სწავლება (IV სემესტრში);
- სასურველია, თავისუფალი კომპონენტების არჩევითი სასწავლო კურსები მეტად იყოს დაკავშირებული სამართლის საბაკალავრო პროგრამის შინაარსთან და სტრუქტურასთან, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად. მაგალითად, პროგრამა შეიცავს თავისუფალი კომპონენტების ისეთ არჩევით სასწავლო კურსებს, როგორებიცაა: დემოგრაფიის საფუძვლები, მგზავრთა ტრანსპორტირების მენეჯმენტი, საზოგადოებრივი გეოგრაფია, საზოგადოებრივი კვების მენეჯმენტი, ექსკურსიათმცოდნეობა და სხვ.

პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის არსებითია კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი. ზოგიერთ შემთხვევაში, სასწავლო კურსის ხელმძღვანელებს არ აქვთ სათანადო ან დაკავშირებულ დარგში განხორციელებული კვლევა ან გამოქვეყნებული ნაშრომი ან პროფესიული გამოცდილება. არის შემთხვევები, როდესაც ერთი პერსონალი რამდენიმე კომპლექსური სასწავლო კურსის სწავლებას გეგმავს. მაგალითად, ერთი მოწვეული პერსონალი გეგმავს 5 სასწავლო კურსის სწავლებას, როგორებიცაა: იურიდიულ პროფესიათა ეთიკა, სასამართლო უნარ-ჩვევები სამოქალაქო სამართალში, სამართლებრივი წერა, ბავშვთა უფლებების დაცვის სამართალი, კაზუსის ამოხსნის მეთოდოლოგია კერძო სამართალში. აგრეთვე, ერთი აკადემიური პერსონალი გეგმავს 5 სასწავლო კურსის სწავლებას, როგორებიცაა: შრომის სამართალი, ევროკავშირის სამართალი, მედიაცია,

სახელშეკრულებო სამართალი, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი.

სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება მოკლევადიანი და გრძელვადიანი მექანიზმების საშუალებით პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდებით. პროცედურა და მექანიზმები განისაზღვრება 2019 წელს დამტკიცებული უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტით, რომელიც საერთოა უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამებისათვის. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით სამიზნე ნიშნულები დგინდება წინასწარ. სამიზნე ნიშნულებთან დადარება ხდება მონიტორინგის შედეგებით, რისთვისაც აიგება შესაბამისი დიაგრამა. სწავლის შედეგებისა და სემესტრული შეფასების გეგმის საფუძველზე ხდება თითოეული შედეგის გაზომვა და, საჭიროების შემთხვევაში, მოდიფიცირება. მიზანშეწონილია, სამართლის პროგრამისათვის, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, განსაზღვრული იყოს სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა, სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და შეფასების პროცესი.

ვინაიდან პროგრამა ახალია, ექსპერტთა ჯგუფი ვერ მოახდენდა სამართლის პროგრამაზე სწავლის შედეგების ფაქტობრივად შეფასების ანალიზს. შესაბამისად, გვიწევს ხელმძღვანელობა უნივერსიტეტის მიერ აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე და ინტერვიუს შედეგების გაანალიზებით. ამასთან, ცალკეული სტანდარტისა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილი მოთხოვნების პრაქტიკულად განხორციელების შესაფასებლად შედარებისათვის გამოყენებული იქნა უნივერსიტეტში მოქმედი ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ესა თუ ის პროცესი, ინტერვიუს დროს აქტიური სტუდენტების ფორმატში გასაუბრებაც ამ პროგრამის სტუდენტებთან გაიმართა. მაგალითისათვის, ვინაიდან სამართლის პროგრამის ერთ-ერთი სავალდებულო კომპონენტი საბაკალავრო ნაშრომის შესრულებაა, შედარებისათვის გამოვითხოვეთ ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამაზე შესრულებული საბაკალავრო ნაშრომები (91 ქულიანი, 73 ქულიანი და 63 ქულიანი შეფასებით). 91 ქულით შეფასებული საბაკალავრო ნაშრომი შესრულებულია აკადემიურობის სტანდარტების ხარვეზებით. ნაშრომის ბიბლიოგრაფიაში მითითებულია ლიტერატურა, რომელიც ნაშრომში არ არის გამოყენებული და სქოლიოთი არ არის გამყარებული. ბუნებრივია, სხვა პროგრამაზე შესრულებული საბაკალავრო ნაშრომების შესრულების ხარისხით სამართლის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას პირდაპირ ვერ ვიხელმძღვანელებთ, თუმცა, იმ პირობებში, როდესაც სამართლის საბაკალავრო პროგრამა 10 კრედიტით სავალდებულო კომპონენტად საბაკალავრო ნაშრომს განსაზღვრავს, სწავლის შედეგების სათანადო შეფასების მიზნით აუცილებელია, შეფასდეს საბაკალავრო ნაშრომის შესრულების სათანადო ხარისხი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- ინტერვიუს შედეგები
- თვითშეფასების ანგარიში
- უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება

○ დამსაქმებელთა გამოკითხვები ○ შრომის ბაზრის კვლევის შესახებ დოკუმენტი
რეკომენდაციები: ○ მიზანშეწონილია, VIII შედეგად განსაზღვრული სწავლის შედეგის იმ ნაწილის კორექტირება, რომელიც განსაზღვრავს შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით ქართულ და უცხო ენაზე ინფორმაციის მოძიებასა და გაანალიზებას. მიზანშეწონილია, დაკონკრეტდეს უცხო ენა და მის ნაცვლად განისაზღვროს ინგლისური ენა, ვინაიდან, პროგრამა აქცენტირებულია ინგლისური ენისა და დარგობრივი ინგლისურის შესწავლაზე და სტუდენტებს საკუთარი არჩევანით სხვა ენის შესწავლის შესაძლებლობა არ აქვთ, დასახელებული შედეგის მიღწევა მხოლოდ ინგლისურ ენაზე არსებული ინფორმაციის მოძიებასა და გაანალიზებაზე შეიძლება იყოს ორიენტირებული ○ მიზანშეწონილია, სამართლის პროგრამისათვის, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, განსაზღვრული იყოს სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა, სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და შეფასების პროცესი
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ კურიკულუმის რუკაში ტექნიკური ხარვეზია, რუკის იმ ნაწილში, სადაც შეჯამების სახით წარმოდგენილია სასწავლოს კურსების რაოდენობა თითოეულ სწავლის შედეგის მიღწევასთან მიმართებით, მე-11 სწავლის შედეგის გრაფა ცარიელია (დაჯამების მიხედვით აქ უნდა ეწეროს 7 სასწავლო კურსი). სასურველია, ამ ტექნიკური ხარვეზის გასწორება ○ პროგრამა ორიენტირებულია 11 სწავლის შედეგის მიღწევაზე, რაც გარკვეულწილად აჭარბებს სწავლის შედეგების სარეკომენდაციო რაოდენობას. შესაბამისად, იმისათვის, რომ სწავლის შედეგები რეალისტური, მიღწევადი და გაზომვადი იყოს, სასურველია, მათი რაოდენობრივად შემცირება. აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია რომელიმე სწავლის შედეგის ამოღებით ან ორი ან მეტი შედეგის ერთ შედეგში გაერთიანებით. ○ სასურველია, თავისუფალი კომპონენტების არჩევითი სასწავლო კურსები მეტად იყოს დაკავშირებული სამართლის საბაკალავრო პროგრამის შინაარსთან და სტრუქტურასთან, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○ შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			✓	

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
--

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ქუთაისის უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები დამაკმაყოფილებელია, საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე (https://www.unik.edu.ge/Course/8). კერძოდ, პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლების ატესტატი, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ქართული ენა და ლიტერატურის, უცხო ენისა და ისტორია/მათემატიკის წარმატებით ჩაბარება და ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვება. პირს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დაძლეული უნდა ჰქონდეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და დაკავშირებული საკითხები უნივერსიტეტის ვებგვერდის გარდა ხელმისაწვდომი და განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამაში. პროგრამაზე დაშვების წინაპირობების საჯაროობის, ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტი იყენებს ინფორმაციის გავრცელების სხვადასხვა საშუალებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები; ○ ვებგვერდი; ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ქუთაისის უნივერსიტეტში განსაზღვრულია სამართლის საბაკალავრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელსაც იგი ეყრდნობა პროგრამის განხორციელებისას. კერძოდ, უნივერსიტეტში მოქმედებს „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო“. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი). პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი. 1 კრედიტი მოიცავს 25 საათს. წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა. მათ შორის, 181 კრედიტი ეთმობა ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსებს, ხოლო დარჩენილი კრედიტები, სტუდენტის ინტერესის შესაბამისად ნაწილდება ძირითადი სპეციალობის არჩევით კურსებსა და თავისუფალ კრედიტებზე. არჩევითი სასწავლო კურსების არჩევა ხდება საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია არჩევითი სასწავლო კურსების შესწავლის წინაპირობები და თანმიმდევრობა. პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას და მოიცავს: ლექციებზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადება-ჩაბარებას, პრაქტიკას. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების თანმიმდევრობა განსაზღვრავს საბაკალავრო პროგრამის შინაარსს, სტრუქტურას და სასწავლო გეგმას. პროგრამა შეიცავს სასწავლო გეგმას. იგი სთავაზობს საჯარო, საერთაშორისო, სისხლისა და კერძო სამართლის სავალდებულო და არჩევით სასწავლო კომპონენტებს. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“. კრედიტის მინიჭება შესაძლებელია თუ სტუდენტის მიერ მიღებული შედეგი აკმაყოფილებს პირობებს: ა) გადალახა დასკვნითი გამოცდის მინიმალური ბარიერი (დასკვნითი გამოცდის მინიმალური ბარიერია 50%); ბ) მოაგროვა საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულა. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას, რომელიც მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. სტუდენტის

შეფასება ხდება მრავალკომპონენტური სისტემით და ითვალისწინებს ორ შემადგენელ ელემენტს - შუალედურ შეფასებას და დასკვნითი გამოცდის შეფასებებს.

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესწავლისა და დამუშავების შედეგად გამოიკვეთა, რომ სამართლის საბაკალავრო პროგრამის კომპონენტი: სასწავლო კურსი, სასწავლო მოდული და სხვ. შინაარსი, სამართლის საბაკალავრო პროგრამის სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, სრულად ვერ უზრუნველყოფს სამართლის სფეროს მიმართულებისათვის აუცილებელი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების განვითარებას. სასწავლო პროგრამის მიხედვით, კომპეტენციები აღწერილია სწავლის შედეგებით, რომლებზეც შესაძლებელია დაკვირვებისა და შეფასების განხორციელება. სხვა პროგრამის სტუდენტებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა სწავლება-სწავლის მეთოდების დახვეწისა და გაუმჯობესების საჭიროება. უნივერსიტეტში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო“, პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი სრულად ვერ უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია სრულად არ შეესაბამება პროგრამის შინაარსს და სწავლის შედეგებს. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი სრულად არ ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის ელემენტებს. სამართლის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსებზე თანაბრად არაა გამოყენებული თანამედროვე ლიტერატურა (რაც უზრუნველყოფს დარგში საერთაშორისო და თანამედროვე მიღწევების გაზიარებასა და შესწავლას), მით უფრო, როდესაც რამდენიმე სასწავლო კურსებისთვის დაშვების წინაპირობას წარმოადგენს ინგლისური ენის ცოდნა შესაბამის დონეზე. პროგრამამ უნდა უზრუნველყოს საერთაშორისო/ადგილობრივ საგრანტო პროექტებში სტუდენტების ჩართულობა, რომ უნივერსიტეტის შესაძლებლობები ოპტიმალურად იყოს გამოყენებული. უნივერსიტეტმა დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ისე უნდა მოარგოს ინტერნაციონალიზაციის პროცესს, რომ სტუდენტებს თანაბრად ჰქონდეთ სამართლის სხვადასხვა მიმართულებით თანამედროვე თეორიისა და შესაბამისი პრაქტიკის შესწავლის შესაძლებლობა. სასწავლო კურსების მოცულობა და შინაარსი, თითოეული სასწავლო კომპონენტით მისაღწევი სწავლის შედეგები, პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები, ვერ უზრუნველყოფს სრულად პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას, პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა მიმართულებით არ არის გამოიყენებული თანამედროვე ლიტერატურა. მაგალითად, ისეთ სასწავლო კურსებში, როგორებიცაა: ევროკავშირის სამართალი, საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი, საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი. ზოგიერთ შემთხვევაში, სასწავლო კურსის ხელმძღვანელებს არ აქვთ სათანადო ან დაკავშირებულ დარგში განხორციელებული კვლევა ან გამოქვეყნებული ნაშრომები ან პროფესიული გამოცდილება. აგრეთვე, არის შემთხვევები, როდესაც ერთი პერსონალი რამდენიმე კომპლექსური სასწავლო კურსის სწავლებას გეგმავს. მაგალითად, ერთი მოწვეული პერსონალი გეგმავს 5 სასწავლო კურსის სწავლებას, როგორებიცაა: იურიდიულ

პროფესიათა ეთიკა, სასამართლო უნარ-ჩვევები სამოქალაქო სამართალში, სამართლებრივი წერა, ბავშვთა უფლებების დაცვის სამართალი, კაზუსის ამოხსნის მეთოდოლოგია კერძო სამართალში. აგრეთვე, ერთი აკადემიური პერსონალი გეგმავს 5 სასწავლო კურსის სწავლებას, როგორებიცაა: შრომის სამართალი, ევროკავშირის სამართალი, მედიაცია, სახელშეკრულებო სამართალი, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი. იმის გათვალისწინებით, რომ სასწავლო კურსის ხელმძღვანელებს არ აქვთ სათანადო ან დაკავშირებულ დარგში განხორციელებული კვლევა ან გამოქვეყნებული ნაშრომები ან პროფესიული გამოცდილება. მაგალითად, ხელშეკრულების შედგენის მეთოდოლოგია სავალდებულო საგანია და ისწავლება IV სემესტრში. სილაბუსით განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულების შედგენის თავისებურებანი, მაშინ, როდესაც შრომის სამართალი ისწავლება VI სემესტრში. შესაბამისად, სტუდენტი ვერ შეძლებს სათანადოდ გაიაზროს შრომითი ხელშეკრულების შედგენის თავისებურებები. კურსის მიზანი ხელშეკრულების შედგენის მინიმალური სტანდარტის ცოდნაზე და, ბუნებრივია, საბაკალავრო დონეზე სხვადასხვა სირთულის ხელშეკრულების შედგენის სიღრმისეული შესწავლა ვერ განხორციელდება. თუმცა, სილაბუსი მაქსიმალურად დატვირთულია სხვადასხვა სახის ხელშეკრულებებზე მუშაობით და კონკრეტული სახის ხელშეკრულებას, რიგ შემთხვევაში, რამდენიმე ტიპის ხელშეკრულებას ეთმობა 1 სალექციო საათი, სამუშაო ჯგუფში მუშაობის 1 საათი, დამოუკიდებელი 3 საათი და დასამუშავებელი ლიტერატურის 1,2 სთ, რაც არ უნდა იყოს გამართლებული. მაგალითისათვის, ტურისტული მომსახურების, გადაზიდვის, მგზავრის გადაყვანისა და სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულებების შედგენის თავისებურებებს ეთმობა 1 სალექციო საათი, სამუშაო ჯგუფში მუშაობის 1 საათი, დამოუკიდებელი 3 საათი და დასამუშავებელი ლიტერატურის 1,2 სთ, რაც არ შეიძლება იყოს საკმარისი. მაგალითად, საარბიტრაჟო სამართალი, არჩევითი კურსი, ისწავლება VII სემესტრში. წინაპირობაა სამოქალაქო პროცესი 2 (სწორადაა წინაპირობა განსაზღვრული). მიზანშეწონილია, ინგლისურენოვანი ლიტერატურის დამატებაც იმის გათვალისწინებით, რომ ინგლისური 1, ინგლისური 2 ისწავლება I და II სემესტრში, დარგობრივი ინგლისური ისწავლება IV სემესტრში და პროგრამა აქცენტირებულია ინგლისურის შესწავლის კომპონენტის გაძლიერებაზე. შესაბამისად, მიზანშეწონილია, არჩევითი სასწავლო კურსები უფრო იყოს დაკავშირებული სამართლის საბაკალავრო პროგრამის შინაარსთან და სტრუქტურასთან, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად.

პროგრამის განვითარებისთვის, მიზანშეწონილია, საგანმანათლებლო პროგრამაში სხვადასხვა მიმართულების სასწავლო კურსები მკაფიოდ იყოს სპეციალიზირებული ბაკალავრიატის საფეხურის მიზნებისათვის, მაგისტრატურის საფეხურისთვის სასწავლო კურსების დუბლირების თავიდან აცილების, სამართლის დარგობრივი მახასიათებლის უზრუნველყოფის მიზნით. მიზანშეწონილია, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო, განსაკუთრებით, პრაქტიკული კურსი, მაქსიმალურად იყოს ორიენტირებული აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატი) დონეზე, რომ არ შეიცავდეს აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის (მაგისტრატურა) ელემენტებს. მაგალითად, პროგრამა შეიცავს აკადემიური წერისა და სამართლებრივი წერის სასწავლო კურსებს - წერის, კვლევის, ციტირებისა და აკადემიური ნაშრომის შედგენისათვის

საჭირო უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად. გასაგებია, სილაბუსების მიხედვით, სამართლებრივი წერის სასწავლო კურსი შეისწავლის პროცესუალური დოკუმენტების შედგენას და სხვა საკითხებს, ხოლო აკადემიური წერის სასწავლო კურსი საჭიროა საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისთვის, თუმცა, მიზანშეწონილია, ეს ორი მიმართულება მკაფიოდ გაიმიჯნოს ერთმანეთისგან. აკადემიური წერის სასწავლო კურსის შინაარსი მკაფიოდ არ განსაზღვრავს ჩამოთვლილი საკითხების აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) სწავლების აუცილებლობას (მით უფრო, საწყის ეტაპზე), როდესაც იგი შეიძლება აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის (მაგისტრატურა) საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილი იყოს (სხვადასხვა სამართლის სამაგისტრო პროგრამა შეიცავს ასეთ სასწავლო კურსს). მით უფრო, საბაკალავრო პროგრამაში არაა მკაფიოდ შემუშავებული ან არ შეინიშნება სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სასწავლო კურსების ურთიერთგამიჯვნის ერთიანი პოლიტიკა.

უნივერსიტეტი მუშაობს პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებაზე - გაფორმებულია მემორანდუმი სხვადასხვა ორგანიზაციასთან. მათ შორის, ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ დამსაქმებელი თანამშრომლობს ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, თუმცა, მიზანშეწონილია, ეს თანამშრომლობა იყოს ეფექტიანი. მისასალმებელია, რომ პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკულ კომპონენტებს, რომლებიც სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აუცილებელი კომპონენტია, სტუდენტის აუცილებელი პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით. პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკულ კომპონენტს იურიდიული კლინიკის სახით, რომელიც სტუდენტს პროგრამაზე სწავლის სხვადასხვა ეტაპზე მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნისა და უნარების შეჯამების საშუალებას აძლევს. მიზანშეწონილია, კლინიკის სტრუქტურირება მოხდეს ისე, რომ იგი არ მოიცავდეს ისეთი აქტიური პრაქტიკის კომპონენტებს, რომლებიც უნდა უზრუნველყოს სამართლის სამაგისტრო საფეხურმა (კერძოდ, თანმიმდევრული გადასვლა პასიური პრაქტიკიდან აქტიურ პრაქტიკაზე).

სასურველია, თავისუფალი კომპონენტების არჩევითი სასწავლო კურსები უფრო იყოს დაკავშირებული სამართლის საბაკალავრო პროგრამის შინაარსთან და სტრუქტურასთან, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად. მაგალითად, პროგრამა შეიცავს თავისუფალი კომპონენტების ისეთ არჩევით სასწავლო კურსებს, როგორებიცაა: დემოგრაფიის საფუძვლები, მგზავრთა ტრანსპორტირების მენეჯმენტი, საზოგადოებრივი გეოგრაფია, საზოგადოებრივი კვების მენეჯმენტი და სხვ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;
- სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა;
- სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა;

○ ვებგვერდი; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ○ სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი, მიზანშეწონილია, უფრო მეტად მოიცავდეს ინტერნაციონალიზაციის ელემენტებს. უნივერსიტეტმა, მიზანშეწონილია, დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ისე მოარგოს ინტერნაციონალიზაციის პროცესს, რომ სტუდენტებს თანაბრად ჰქონდეთ სამართლის სხვადასხვა მიმართულებით თანამედროვე თეორიისა და შესაბამისი პრაქტიკის შესწავლის შესაძლებლობა. მეთოდოლოგიამ უნდა უზრუნველყოს საერთაშორისო/ადგილობრივ საგრანტო პროექტებში სტუდენტების მაღალი ჩართულობა, რომ უნივერსიტეტის შესაძლებლობები, ძლიერი მხარეები, ოპტიმალურად იყოს გამოყენებული. ○ სამართლის საბაკალავრო პროგრამაში სასწავლო კურსებს, მიზანშეწონილია, ისეთი აკადემიური და მოწვეული პერსონალი ხელმძღვანელობდეს, რომლებსაც შესაბამის ან დაკავშირებულ დისციპლინაში აქვთ სათანადო კვლევა, გამოქვეყნებული ნაშრომები ან პროფესიული გამოცდილება. ○ პროგრამის განვითარებისთვის, მიზანშეწონილია, საგანმანათლებლო პროგრამაში სხვადასხვა მიმართულების სასწავლო კურსები მკაფიოდ იყოს სპეციალიზირებული ბაკალავრიატის საფეხურის მიზნებისათვის, მაგისტრატურის საფეხურისთვის სასწავლო კურსების დუბლირების თავიდან აცილების, სამართლის დარგობრივი მახასიათებლის უზრუნველყოფის მიზნით. მიზანშეწონილია, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო, განსაკუთრებით, პრაქტიკული კურსი, მაქსიმალურად იყოს ორიენტირებული აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატი) დონეზე, რომ არ შეიცავდეს აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის (მაგისტრატურა) ელემენტებს, საგნების დუბლირების თავიდან აცილების მიზნით. ○ მიზანშეწონილია, პრაქტიკული კომპონენტების სტრუქტურირება მოხდეს ისე, რომ იგი არ მოიცავდეს ისეთი აქტიური პრაქტიკის კომპონენტებს, რომლებიც უნდა უზრუნველყოს სამართლის სამაგისტრო საფეხურმა (კერძოდ, თანმიმდევრული გადასვლა პასიური პრაქტიკიდან აქტიურ პრაქტიკაზე).
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, თავისუფალი კომპონენტების არჩევითი სასწავლო კურსები უფრო იყოს დაკავშირებული სამართლის საბაკალავრო პროგრამის შინაარსთან და სტრუქტურასთან, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ქუთაისის უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსები სრულად ვერ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სპეციალობის ძირითადი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, თუმცა მათი ერთიანობა სრულად ვერ უზრუნველყოფს პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია სწავლის შედეგების რუკა, რომელიც განსაზღვრავს თითოეული სასწავლო კურსით მისაღწევ პროგრამის სწავლის შედეგს. თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები სრულად არ შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსს და ბაკალავრიატის საფეხურს. პროგრამის სასწავლო კურსების მოცულობა განსაზღვრულია შესაბამის კრედიტებში. მათი დაგეგმვისას და კრედიტების მინიჭებისას გათვალისწინებულია როგორც საკონტაქტო, ასევე არასაკონტაქტო საათები, რომელთა მოცულობა შეესაბამება სტუდენტთა სასწავლო დატვირთვას და სწავლა-სწავლების მეთოდებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი სრულად არ ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის ელემენტებს. მისანიჭებელი კვალიფიკაცია სრულად არ შეესაბამება პროგრამის შინაარსს და სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსების მოცულობა და

შინაარსი, თითოეული სასწავლო კომპონენტით მისაღწევი სწავლის შედეგები, პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები, ვერ უზრუნველყოფს სრულად პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას, პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა მიმართულებით არ გამოიყენებული თანამედროვე ლიტერატურა. მაგალითად, ისეთ სასწავლო კურსებში, როგორებიცაა: ევროკავშირის სამართალი, საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი, საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი. კერძოდ, ევროკავშირის სამართლის სასწავლო კურსში ძირითად ლიტერატურად მითითებულია 2012 წლის და 2006 წლის ლიტერატურა (ძალიან კარგი ლიტერატურა, თუმცა არსებობს უახლესი სხვა ლიტერატურა, როგორიცაა ევროკავშირის პოლიტიკა, ჯონ მაკკორმიკი, კავკასიის უნივერსიტეტი, თბილისი, 2016 (თარგმანი); ირაკლი პაპავა, ევროპის კავშირის ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები: საბაზისო აქტები და კომენტარები, თბილისი, 2017 წ. და სხვა). სასწავლო კურსის ხელმძღვანელებს არ აქვთ სათანადო ან დაკავშირებულ დარგში განხორციელებული კვლევა ან გამოქვეყნებული ნაშრომები ან პროფესიული გამოცდილება. აგრეთვე, არის შემთხვევები, როდესაც ერთი პერსონალი რამდენიმე კომპლექსური სასწავლო კურსის სწავლებას გეგმავს. მაგალითად, ერთი მოწვეული პერსონალი გეგმავს 5 სასწავლო კურსის სწავლებას, როგორებიცაა: იურიდიულ პროფესიათა ეთიკა, სასამართლო უნარ-ჩვევები სამოქალაქო სამართალში, სამართლებრივი წერა, ბავშვთა უფლებების დაცვის სამართალი, კაზუსის ამოხსნის მეთოდები კერძო სამართალში. აგრეთვე, ერთი აკადემიური პერსონალი გეგმავს 5 სასწავლო კურსის სწავლებას, როგორებიცაა: შრომის სამართალი, ევროკავშირის სამართალი, მედიაცია, სახელშეკრულებო სამართალი, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი.

პროგრამის განვითარებისთვის, მიზანშეწონილია, საგანმანათლებლო პროგრამაში სხვადასხვა მიმართულების სასწავლო კურსები მკაფიოდ იყოს სპეციალიზირებული ბაკალავრიატის საფეხურის მიზნებისათვის, მაგისტრატურის საფეხურისთვის სასწავლო კურსების დუბლირების თავიდან აცილების, სამართლის დარგობრივი მახასიათებლის უზრუნველყოფის მიზნით. მიზანშეწონილია, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო, განსაკუთრებით, პრაქტიკული კურსი, მაქსიმალურად იყოს ორიენტირებული აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატი) დონეზე, რომ არ შეიცავდეს აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის (მაგისტრატურა) ელემენტებს, საგნების დუბლირების თავიდან აცილების მიზნით. მაგალითად, პროგრამა შეიცავს აკადემიური წერისა და სამართლებრივი წერის საგნებს - წერის, კვლევის, ციტირებისა და აკადემიური ნაშრომის შედგენისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად. გასაგებია, სამართლებრივი წერის სასწავლო კურსი შეისწავლის პროცესუალური დოკუმენტების შედგენას და სხვა საკითხებს, ხოლო აკადემიური წერის სასწავლო კურსი საჭიროა საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისთვის, თუმცა, მიზანშეწონილია, ეს ორი მიმართულება მკაფიოდ გაიმიჯნოს ერთმანეთისგან. აკადემიური წერის სასწავლო კურსის შინაარსი მკაფიოდ არ განსაზღვრავს ჩამოთვლილი საკითხების აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) სწავლების აუცილებლობას (მით უფრო, საწყის ეტაპზე), როდესაც იგი შეიძლება აკადემიური

უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის (მაგისტრატურა) საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილი იყოს (სხვადასხვა სამართლის სამაგისტრო პროგრამა შეიცავს ასეთ სასწავლო კურსს). საბაკალავრო პროგრამაში არაა მკაფიოდ შემუშავებული ან არ შეინიშნება სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სასწავლო კურსების ურთიერთგამიჯვნის ერთიანი პოლიტიკა.

უნივერსიტეტი მუშაობს პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებაზე - გაფორმებულია მემორანდუმი სხვადასხვა ორგანიზაციასთან. მათ შორის, ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ დამსაქმებელი თანამშრომლობს ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, თუმცა, მიზანშეწონილია, ეს თანამშრომლობა იყოს ეფექტიანი. მისასალმებელია, პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკულ კომპონენტებს, რომლებიც სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აუცილებელი კომპონენტია, სტუდენტის აუცილებელი პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით. პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკულ კომპონენტს იურიდიული კლინიკის სახით, რომელიც სტუდენტს პროგრამაზე სწავლის სხვადასხვა ეტაპზე მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნისა და უნარების შეჯამების საშუალებას აძლევს. მიზანშეწონილია, კლინიკის სტრუქტურირება მოხდეს ისე, რომ იგი არ მოიცავდეს ისეთი აქტიური პრაქტიკის კომპონენტებს, რომლებიც უნდა უზრუნველყოს სამართლის სამაგისტრო საფეხურმა (კერძოდ, თანმიმდევრული გადასვლა პასიური პრაქტიკიდან აქტიურ პრაქტიკაზე).

სასურველია, თავისუფალი კომპონენტების არჩევითი სასწავლო კურსები უფრო იყოს დაკავშირებული სამართლის საბაკალავრო პროგრამის შინაარსთან და სტრუქტურასთან, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად. მაგალითად, პროგრამა შეიცავს თავისუფალი კომპონენტების ისეთ არჩევით სასწავლო კურსებს, როგორებიცაა: დემოგრაფიის საფუძვლები, მგზავრთა ტრანსპორტირების მენეჯმენტი, საზოგადოებრივი გეოგრაფია, საზოგადოებრივი კვების მენეჯმენტი და სხვ.

მოცემული სტანდარტი ეხება სასწავლო კურსების სწავლის შედეგებისა და პროგრამის სწავლის შედეგების მიმართებას. სამართლის საბაკალავრო პროგრამაში მოცემული სასწავლო კურსის სწავლის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა სრულად არ შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსი საჭიროებს დახვეწას. მაგალითად, ხელშეკრულების შედგენის მეთოდიკა სავალდებულო საგანია და ისწავლება IV სემესტრში. სილაბუსით განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულების შედგენის თავისებურებანი, მაშინ, როდესაც შრომის სამართალი ისწავლება VI სემესტრში. შესაბამისად, სტუდენტი ვერ შეძლებს სათანადოდ გაიაზროს შრომითი ხელშეკრულების შედგენის თავისებურებები. კურსის მიზანი ხელშეკრულების შედგენის მინიმალური სტანდარტის ცოდნაზეა და, ბუნებრივია, საბაკალავრო დონეზე სხვადასხვა სირთულის ხელშეკრულების შედგენის სიღრმისეული შესწავლა ვერ განხორციელდება. თუმცა, სილაბუსი მაქსიმალურად დატვირთულია სხვადასხვა სახის ხელშეკრულებებზე მუშაობით და კონკრეტული სახის ხელშეკრულებას, რიგ შემთხვევაში, რამდენიმე ტიპის ხელშეკრულებას ეთმობა 1 სალექციო საათი, სამუშაო ჯგუფში მუშაობის 1 საათი, დამოუკიდებელი 3 საათი და დასამუშავებელი ლიტერატურის 1,2 სთ, რაც არ უნდა იყოს გამართლებული. მაგალითისათვის, ტურისტული მომსახურების, გადაზიდვის, მგზავრის

გადაყვანისა და სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულებების შედგენის თავისებურებებს ეთმობა 1 სალექციო საათი, სამუშაო ჯგუფში მუშაობის 1 საათი, დამოუკიდებელი 3 საათი და დასამუშავებელი ლიტერატურის 1,2 სთ, რაც არ შეიძლება იყოს საკმარისი. შესაბამისად, მიზანშეწონილია, თავისუფალი კომპონენტების არჩევითი სასწავლო კურსები უფრო იყოს დაკავშირებული სამართლის საბაკალავრო პროგრამის შინაარსთან და სტრუქტურასთან, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად. მაგალითად, საარბიტრაჟო სამართალი, არჩევითი კურსი, ისწავლება VII სემესტრში. წინაპირობაა სამოქალაქო პროცესი 2 (სწორადაა წინაპირობა განსაზღვრული). მიზანშეწონილია, ინგლისურენოვანი ლიტერატურის დამატებაც იმის გათვალისწინებით, რომ ინგლისური 1, ინგლისური 2 ისწავლება I და II სემესტრში, დარგობრივი ინგლისური ისწავლება IV სემესტრში და პროგრამა აქცენტირებულია ინგლისურის შესწავლის კომპონენტის გაძლიერებაზე. მაგალითად, სამოქალაქო სამართალში სასამართლო უნარ-ჩვევების სასწავლო კურსის შინაარსი ძირითადად აქცენტირებულია ადვოკატის უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე (ადვოკატის უფლებები და მოვალეობები, კლიენტთან ინტერვიუ, ადვოკატის ეთიკის ნორმები, მტკიცებულებების მოპოვება, ადვოკატის პოზიციის დასაბუთება, ადვოკატი სამოქალაქო სამართალწარმოებაში, პაექრობა და სხვა). მიზანშეწონილია, თემატიკა/შინაარსი და სათაური ერთმანეთს შეესაბამებოდეს. სასამართლო უნარ-ჩვევები უფრო ფართო პროფილისაა (შეიძლება მიემართებოდეს მოსამართლის თანაშემწეს, სხდომის მდივანს და სხვა). მაგალითად, პროგრამა სასამართლო უნარ-ჩვევების სწავლებას ითვალისწინებს 3 6-6 კრედიტიანი სასწავლო კურსის მეშვეობით (სამოქალაქო სამართალში, სისხლის სამართალში, ადმინისტრაციულ სამართალში), რომლებიც ძირითადი სავალდებულო საგნების სვეტშია განთავსებული. პრაქტიკულად, სტუდენტს სამჯერ მოუწევს ერთი სპეციფიკის სასწავლო კურსის გავლა. მით უფრო, პროგრამა არ ასაბუთებს თუ რატომ განისაზღვრა სასამართლო უნარ-ჩვევების 3 საგანი ისეთ სავალდებულო კურსებად, რომლებიც არსებითად უზრუნველყოფს პროფესიაში შესვლასა და საბაკალავრო საფეხურის სწავლის შედეგებზე გასვლას. მიზანშეწონილია, სასამართლო უნარ-ჩვევების სასწავლო კურსი დამოუკიდებლად ისწავლებოდეს. მაგალითად, სამართლებრივი წერის, სამოქალაქო სამართალში სასამართლო უნარ-ჩვევებისა და იურიდიულ პროფესიათა ეთიკის სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები იდენტურია. სამართლებრივი წერის სილაბუსის ძირითად ლიტერატურაში მითითებულია საქართველოს კანონები - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. ამასთან, სავალდებულო ლიტერატურად განსაზღვრულია „სამართლებრივი მართლწერის უნარ-ჩვევების და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გასაჩივრების პროცედურების შესახებ“ 2012 წლის სახელმძღვანელო და (სპეციფიკურ სეგმენტზე ორიენტირებული), მაშინ როცა დამატებით ლიტერატურად განსაზღვრულია 2017 წლის სახელმძღვანელო სამართლებრივი წერა (ავტორთა კოლექტივი). სამართლებრივი წერის სასწავლო კურსი ვიწროდ ორიენტირებულია სარჩელის, შესაგებლის, შუამდგომლობის, განჩინებათა მომზადების სწავლებაზე, ფაქტობრივად, აქცენტირებულია საპროცესო დოკუმენტაციის მომზადებაზე. მიზანშეწონილია, სასწავლო კურსი ითვალისწინებდეს ისეთი საკითხების სწავლებას,

როგორებიცაა სამართლებრივი წერის ტექნიკა, სამართლებრივი თემის სათაურის შერჩევა, თეზისების ჩამოყალიბება, ფაქტების გადმოცემის ტექნიკა, სიზუსტე და სიცხადე სამართლებრივ ნაშრომში და სხვ. მაგალითად, ბავშვის უფლებების დაცვის სამართლის სასწავლო კურსში სავალდებულო ლიტერატურად განსაზღვრულია მხოლოდ ნორმატიული აქტები, დამატებითი ლიტერატურაც შედგენილია სამართლებრივი აქტებისაგან. საგანი უაღრესად მნიშვნელოვანია, აქტუალურია, ახალია, თუმცა, მიზანშეწონილია, ეს კურსი ისწავლებოდეს შესაბამისი სახელმძღვანელოს დახმარებით. მაგალითად, შრომის სამართლის სასწავლო კურსში არაა წარმოდგენილი ისეთი უახლესი ლიტერატურა, როგორიცაა 2020 წლის შრომით დავებზე საქართველოს სასამართლო პრაქტიკა (ზ. შველიძე), 2017 წლის საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები (ზ. შველიძე, ქ. ბოდონე, თ. თოდრია, თ. ხაჟომია, ნ. გუჯაბიძე, ქ. მესხიშვილი), 2014 წლის შრომის სამართლის უახლესი ცვლილებების სამართლებრივი ასპექტები (ავტორთა კოლექტივი, თსუ, GIZ). შრომის სამართლის სტატიათა I და II კრებულები. სილაბუსში განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა ვერ პასუხობს სრულად იმ მოთხოვნებს (თეორიული და პრაქტიკული ცოდნის თვალსაზრისით), რაც თანამედროვე შრომის სამართლის უახლესი და სპეციფიკური საკითხებია. სილაბუსში მითითებულია გაუქმებული 2018 წლის საქართველოს კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“. 2019 წელს მიღებულ იქნა ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ვებგვერდი;
- სილაბუსები;
- მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა;
- სწავლის მეთოდების შესაბამისობა შედეგებთან;
- სწავლის შედეგების შეფასება;
- სასწავლო გეგმა;
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;
- უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- სამართლის საბაკალავრო პროგრამაში მოცემული სასწავლო კურსის სწავლის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა, მიზანშეწონილია, სრულად შეესაბამებოდეს ამ კურსის სწავლის შედეგებს. ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსი საჭიროებს დახვეწას.
- პროგრამის ფარგლებში, მიზანშეწონილია, სხვადასხვა მიმართულებით გამოიყენებოდეს თანამედროვე ლიტერატურა.
- საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსებს, მიზანშეწონილია, ისეთი აკადემიური და მოწვეული პერსონალი ხელმძღვანელობდეს, რომლებსაც შესაბამის

დისციპლინაში აქვთ სათანადო კვლევა, გამოქვეყნებული ნაშრომები ან პროფესიული გამოცდილება. ○ პროგრამის განვითარებისთვის, მიზანშეწონილია, საგანმანათლებლო პროგრამაში სხვადასხვა მიმართულების სასწავლო კურსები მკაფიოდ იყოს სპეციალიზირებული ბაკალავრიატის საფეხურის მიზნებისათვის, მაგისტრატურის საფეხურისთვის სასწავლო კურსების დუბლირების თავიდან აცილების, სამართლის დარგობრივი მახასიათებლის უზრუნველყოფის მიზნით. მიზანშეწონილია, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო, განსაკუთრებით, პრაქტიკული კურსი, მაქსიმალურად იყოს ორიენტირებული აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატი) დონეზე, რომ არ შეიცავდეს აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის (მაგისტრატურა) ელემენტებს, საგნების დუბლირების თავიდან აცილების მიზნით. ○ სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი, მიზანშეწონილია, უფრო მეტად მოიცავდეს ინტერნაციონალიზაციის ელემენტებს. უნივერსიტეტმა, მიზანშეწონილია, დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ისე მოარგოს ინტერნაციონალიზაციის პროცესს, რომ სტუდენტებს თანაბრად ჰქონდეთ სამართლის სხვადასხვა მიმართულებით თანამედროვე თეორიისა და შესაბამისი პრაქტიკის შესწავლის შესაძლებლობა. მეთოდოლოგიამ უნდა უზრუნველყოს საერთაშორისო/ადგილობრივ საგრანტო პროექტებში სტუდენტების მაღალი ჩართულობა, რომ უნივერსიტეტის შესაძლებლობები, ძლიერი მხარეები, ოპტიმალურად იყოს გამოყენებული. ○ მიზანშეწონილია, პრაქტიკული კომპონენტების სტრუქტურირება მოხდეს ისე, რომ იგი არ მოიცავდეს ისეთი აქტიური პრაქტიკის კომპონენტებს, რომლებიც უნდა უზრუნველყოს სამართლის სამაგისტრო საფეხურმა (კერძოდ, თანმიმდევრული გადასვლა პასიური პრაქტიკიდან აქტიურ პრაქტიკაზე).	რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, თავისუფალი კომპონენტების არჩევითი სასწავლო კურსები უფრო იყოს დაკავშირებული სამართლის საბაკალავრო პროგრამის შინაარსთან და სტრუქტურასთან, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის	მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება	

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ქუთაისის უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკული უნარების განვითარებას. მისასაღმებელია, რომ პროგრამა, თეორიულ საკითხებთან ერთად, ორიენტირებულია სასამართლო პრაქტიკის შესწავლაზე. პროგრამა შეიცავს სხვადასხვა პრაქტიკულ კურსს, როგორებიცაა: იურიდიულ პროფესიათა ეთიკა; იმიტირებული სასამართლო პროცესი ადამიანის უფლებებში; ხელშეკრულების შედგენის ტექნიკა; საპროცესო დოკუმენტების შედგენა სისხლის სამართალში; სასამართლო უნარ-ჩვევები ადმინისტრაციულ სამართალში; სასამართლო უნარ-ჩვევები სისხლის სამართალში; სასამართლო უნარ-ჩვევები სამოქალაქო სამართალში. სამართლის საბაკალავრო პროგრამაში მოცემული სასწავლო კურსის სწავლის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა სრულად არ შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსი საჭიროებს დახვეწას. მაგალითად, ხელშეკრულების შედგენის მეთოდის საფუძველზე საგანია და ისწავლება IV სემესტრში. სილაბუსით განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულების შედგენის თავისებურებანი, მაშინ, როდესაც შრომის სამართალი ისწავლება VI სემესტრში. შესაბამისად, სტუდენტი ვერ შეძლებს სათანადოდ გაიაზროს შრომითი ხელშეკრულების შედგენის თავისებურებები. კურსის მიზანი ხელშეკრულების შედგენის მინიმალური სტანდარტის ცოდნაზე და, ბუნებრივია, საბაკალავრო დონეზე სხვადასხვა სირთულის ხელშეკრულების შედგენის სიღრმისეული შესწავლა ვერ განხორციელდება. თუმცა, სილაბუსი მაქსიმალურად დატვირთულია სხვადასხვა სახის ხელშეკრულებებზე მუშაობით და კონკრეტული სახის ხელშეკრულებას, რიგ შემთხვევაში, რამდენიმე ტიპის ხელშეკრულებას ეთმობა 1 სალექციო საათი, სამუშაო ჯგუფში მუშაობის 1 საათი, დამოუკიდებელი 3 საათი და დასამუშავებელი ლიტერატურის 1,2 სთ, რაც არ უნდა იყოს გამართლებული. მაგალითისათვის, ტურისტული მომსახურების, გადაზიდვის, მგზავრის გადაყვანისა და სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულებების შედგენის თავისებურებებს ეთმობა 1 სალექციო საათი, სამუშაო ჯგუფში მუშაობის 1 საათი, დამოუკიდებელი 3 საათი და დასამუშავებელი ლიტერატურის 1,2 სთ, რაც არ შეიძლება

იყოს საკმარისი. შესაბამისად, მიზანშეწონილია, თავისუფალი კომპონენტების არჩევითი სასწავლო კურსები უფრო იყოს დაკავშირებული სამართლის საბაკალავრო პროგრამის შინაარსთან და სტრუქტურასთან, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად. მაგალითად, სამოქალაქო სამართალში სასამართლო უნარ-ჩვევების სასწავლო კურსის შინაარსი ძირითადად აქცენტირებულია ადვოკატის უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე (ადვოკატის უფლებები და მოვალეობები, კლიენტთან ინტერვიუ, ადვოკატის ეთიკის ნორმები, მტკიცებულებების მოპოვება, ადვოკატის პოზიციის დასაბუთება, ადვოკატი სამოქალაქო სამართალწარმოებაში, პაექრობა და სხვა). მიზანშეწონილია, თემატიკა/შინაარსი და სათაური ერთმანეთს შეესაბამებოდეს. სასამართლო უნარ-ჩვევები უფრო ფართო პროფილისაა (შეიძლება მიემართებოდეს მოსამართლის თანაშემწეს, სხდომის მდივანს და სხვა). მაგალითად, პროგრამა სასამართლო უნარ-ჩვევების სწავლებას ითვალისწინებს 3-6 კრედიტიანი სასწავლო კურსის მეშვეობით (სამოქალაქო სამართალში, სისხლის სამართალში, ადმინისტრაციულ სამართალში), რომლებიც ძირითადი სავალდებულო საგნების სვეტშია განთავსებული. პრაქტიკულად, სტუდენტს სამჯერ მოუწევს ერთი სპეციფიკის სასწავლო კურსის გავლა. მით უფრო, პროგრამა არ ასაბუთებს თუ რატომ განისაზღვრა სასამართლო უნარ-ჩვევების 3 საგანი ისეთ სავალდებულო კურსებად, რომლებიც არსებითად უზრუნველყოფს პროფესიაში შესვლასა და საბაკალავრო საფეხურის სწავლის შედეგებზე გასვლას. მიზანშეწონილია, სასამართლო უნარ-ჩვევების სასწავლო კურსი დამოუკიდებლად ისწავლებოდეს. მაგალითად, სამართლებრივი წერის, სამოქალაქო სამართალში სასამართლო უნარ-ჩვევებისა და იურიდიულ პროფესიათა ეთიკის სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები იდენტურია. სამართლებრივი წერის სილაბუსის ძირითად ლიტერატურაში მითითებულია საქართველოს კანონები - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. ამასთან, სავალდებულო ლიტერატურად განსაზღვრულია „სამართლებრივი მართლწერის უნარ-ჩვევების და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გასაჩივრების პროცედურების შესახებ“ 2012 წლის სახელმძღვანელო და (სპეციფიკურ სეგმენტზე ორიენტირებული), მაშინ როცა დამატებით ლიტერატურად განსაზღვრულია 2017 წლის სახელმძღვანელო სამართლებრივი წერა (ავტორთა კოლექტივი). სამართლებრივი წერის სასწავლო კურსი ვიწროდ ორიენტირებულია სარჩელის, შესაგებლის, შუამდგომლობის, განჩინებათა მომზადების სწავლებაზე, ფაქტობრივად, აქცენტირებულია საპროცესო დოკუმენტაციის მომზადებაზე. მიზანშეწონილია, სასწავლო კურსი ითვალისწინებდეს ისეთი საკითხების სწავლებას, როგორებიცაა სამართლებრივი წერის ტექნიკა, სამართლებრივი თემის სათაურის შერჩევა, თეზისების ჩამოყალიბება, ფაქტების გადმოცემის ტექნიკა, სიზუსტე და სიცხადე სამართლებრივ ნაშრომში და სხვ.

პროგრამის განვითარებისთვის, მიზანშეწონილია, საგანმანათლებლო პროგრამაში სხვადასხვა მიმართულების სასწავლო კურსები მკაფიოდ იყოს სპეციალიზირებული ბაკალავრიატის საფეხურის მიზნებისათვის, მაგისტრატურის საფეხურისთვის სასწავლო კურსების დუბლირების თავიდან აცილების, სამართლის დარგობრივი მახასიათებლის უზრუნველყოფის მიზნით. მიზანშეწონილია, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო, განსაკუთრებით, პრაქტიკული კურსი, მაქსიმალურად იყოს ორიენტირებული

აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატი) დონეზე, რომ არ შეიცავდეს აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის (მაგისტრატურა) ელემენტებს, საგნების დუბლირების თავიდან აცილების მიზნით. მაგალითად, პროგრამა შეიცავს აკადემიური წერისა და სამართლებრივი წერის საგნებს - წერის, კვლევის, ციტირებისა და აკადემიური ნაშრომის შედგენისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად. გასაგებია, სამართლებრივი წერის სასწავლო კურსი შეისწავლის პროცესუალური დოკუმენტების შედგენას და სხვა საკითხებს, ხოლო აკადემიური წერის სასწავლო კურსი საჭიროა საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისთვის, თუმცა, მიზანშეწონილია, ეს ორი მიმართულება მკაფიოდ გაიმიჯნოს ერთმანეთისგან. აკადემიური წერის სასწავლო კურსის შინაარსი მკაფიოდ არ განსაზღვრავს ჩამოთვლილი საკითხების აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) სწავლების აუცილებლობას (მით უფრო, საწყის ეტაპზე), როდესაც იგი შეიძლება აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის (მაგისტრატურა) საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილი იყოს (სხვადასხვა სამართლის სამაგისტრო პროგრამა შეიცავს ასეთ სასწავლო კურსს). საბაკალავრო პროგრამაში არაა მკაფიოდ შემუშავებული ან არ შეინიშნება სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სასწავლო კურსების ურთიერთგამიჯვნის ერთიანი პოლიტიკა.

უნივერსიტეტი მუშაობს პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებაზე - გაფორმებულია მემორანდუმი სხვადასხვა ორგანიზაციასთან. მათ შორის, ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ დამსაქმებელი თანამშრომლობს ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, თუმცა, მიზანშეწონილია, ეს თანამშრომლობა იყოს ეფექტიანი. მისასალმებელია, პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკულ კომპონენტებს, რომლებიც სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აუცილებელი კომპონენტია, სტუდენტის აუცილებელი პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით. პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკულ კომპონენტს იურიდიული კლინიკის სახით, რომელიც სტუდენტს პროგრამაზე სწავლის სხვადასხვა ეტაპზე მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნისა და უნარების შეჯამების საშუალებას აძლევს. მიზანშეწონილია, კლინიკის სტრუქტურირება მოხდეს ისე, რომ იგი არ მოიცავდეს ისეთი აქტიური პრაქტიკის კომპონენტებს, რომლებიც უნდა უზრუნველყოს სამართლის სამაგისტრო საფეხურმა (კერძოდ, თანმიმდევრული გადასვლა პასიური პრაქტიკიდან აქტიურ პრაქტიკაზე).

სასურველია, თავისუფალი კომპონენტების არჩევითი სასწავლო კურსები უფრო იყოს დაკავშირებული სამართლის საბაკალავრო პროგრამის შინაარსთან და სტრუქტურასთან, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად. მაგალითად, პროგრამა შეიცავს თავისუფალი კომპონენტების ისეთ არჩევით სასწავლო კურსებს, როგორებიცაა: დემოგრაფიის საფუძვლები, მგზავრთა ტრანსპორტირების მენეჯმენტი, საზოგადოებრივი გეოგრაფია, საზოგადოებრივი კვების მენეჯმენტი და სხვ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;

○ სასწავლო გეგმა; ○ სამართლის კლინიკის დებულება. ○ შესაბამისი მემორანდუმები; ○ ვებგვერდი; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ○ უნივერსიტეტი მუშაობს პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებაზე - გაფორმებულია მემორანდუმი სხვადასხვა ორგანიზაციასთან. მათ შორის, ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ დამსაქმებელი თანამშრომლობს ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, თუმცა, მიზანშეწონილია, ეს თანამშრომლობა იყოს ეფექტიანი. ○ პროგრამის განვითარებისთვის, მიზანშეწონილია, საგანმანათლებლო პროგრამაში სხვადასხვა მიმართულების სასწავლო კურსები მკაფიოდ იყოს სპეციალიზირებული ბაკალავრიატის საფეხურის მიზნებისათვის, მაგისტრატურის საფეხურისთვის სასწავლო კურსების დუბლირების თავიდან აცილების, სამართლის დარგობრივი მახასიათებლის უზრუნველყოფის მიზნით. ○ სამართლის საბაკალავრო პროგრამაში მოცემული სასწავლო კურსის სწავლის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა, მიზანშეწონილია, სრულად შეესაბამებოდეს ამ კურსის სწავლის შედეგებს. ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსი საჭიროებს დახვეწას. ○ მიზანშეწონილია, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო, განსაკუთრებით, პრაქტიკული კურსი, მაქსიმალურად იყოს ორიენტირებული აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატი) დონეზე, რომ არ შეიცავდეს აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის (მაგისტრატურა) ელემენტებს, საგნების დუბლირების თავიდან აცილების მიზნით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ პრაქტიკული კომპონენტების (კლინიკის) სტრუქტურირება, სასურველია, მოხდეს ისე, რომ იგი არ მოიცავდეს ისეთი აქტიური პრაქტიკის კომპონენტებს, რომლებიც უნდა უზრუნველყოს სამართლის სამაგისტრო საფეხურმა (კერძოდ, თანმიმდევრული გადასვლა პასიური პრაქტიკიდან აქტიურ პრაქტიკაზე). ○ სასურველია, თავისუფალი კომპონენტების არჩევითი სასწავლო კურსები უფრო იყოს დაკავშირებული სამართლის საბაკალავრო პროგრამის შინაარსთან და სტრუქტურასთან, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ქუთაისის უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამაში, მისასაღმებელია, სწავლა-სწავლების მეთოდების ფორმირება მოხდა სამართლის განახლებული დარგობრივი სტანდარტის გათვალისწინებით და ასახულია ყველა ის მეთოდი, რომლებიც გამოიყენება სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცალკეული კურსების სწავლებისას, რაც აკმაყოფილებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება #3-ის მოთხოვნებს. კერძოდ, გამოიყენება სწავლების მეთოდები (ლექცია; სემინარი/სამუშაო ჯგუფი; პრაქტიკული მეცადინეობა/პრაქტიკუმი; კონსულტაცია), სწავლის მეთოდები (წიგნის/სასამართლო გადაწყვეტილების/ნორმატიული მასალის დამოუკიდებლად დამუშავება/განმარტება /ინტერპრეტირება; ვერბალური პროფესიული მოხსენების მომზადება; კითხვებზე პასუხების მომზადება; წერიტი დავალებების შესრულება), სწავლა-სწავლებისას გამოსაყენებელი აქტივობები (ვერბალური კომუნიკაცია; წერიტი დავალება; ჯგუფური, მათ შორის, მცირე ჯგუფში მუშაობა; დისკუსია/დებატები, კაზუსის ამოხსნის მეთოდი; გონებრივი იერიში; როლურის/სიტუაციური თამაშები; დემონსტრირების/პრეზენტირების მეთოდი; სწავლების ენასა და ერთ-ერთ ევროპულ ენაზე პროფესიული კომუნიკაციის მეთოდები; ინფორმაციის მოძიების მეთოდები; ინდივიდუალური (დამოუკიდებელი) მუშაობა). მიზანშეწონილია, რომ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტმა ამოიცნოს სამართლის სფეროში არსებული რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემები და სტანდარტული ან/და ზოგიერთი უახლესი მეთოდების გამოყენებით შეიმუშაოს მათი გადაწყვეტის შესაბამისი გზები. აგრეთვე,

განალიზოს სამართლის ნორმები, წყაროები, მეთოდები საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, მათი შეფასების, სამართლებრივ დავაში პოზიციების დასაბუთების, კონკრეტული იურიდიული მოქმედებების განხორციელების ან სხვა იურიდიული ამოცანის გადაწყვეტის მიზნით. შესაბამისად, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად, ასევე, სწავლის შედეგების შეფასების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, შერჩეული იყოს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რელევანტური სწავლების მეთოდები და გამოყენებული იყოს სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ადეკვატური მეთოდები. სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უნდა უწყობდეს სტუდენტს ახალი ინფორმაციის შეგროვებაში, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანაში, დამოუკიდებლად აზროვნებაში, ცოდნის გაღრმავებაში. ამ შედეგების მიღწევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა უნივერსიტეტის მიერ ინტერნაციონალიზაციის პროცესის უზრუნველყოფაა. მიზანშეწონილია, ერთი მხრივ, უნივერსიტეტმა დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ისე მოარგოს ინტერნაციონალიზაციის პროცესს, რომ სტუდენტებს თანაბრად ჰქონდეთ სამართლის სხვადასხვა მიმართულებით თანამედროვე თეორიისა და შესაბამისი პრაქტიკის შესწავლის შესაძლებლობა, ხოლო, მეორე მხრივ, სასწავლო კურსების ხელმძღვანელებმა თავად გამოიყენონ სათანადო მეთოდები, ინტერნაციონალიზაციის პროცესის უზრუნველსაყოფად მოარგონ სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსს. აგრეთვე, მიზანშეწონილია, დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ისე მოარგოს ინტერნაციონალიზაციის პროცესს, რომ უზრუნველყოს საერთაშორისო/ადგილობრივ საგრანტო პროექტებში სტუდენტების მაღალი ჩართულობა, რომ უნივერსიტეტის შესაძლებლობები, ძლიერი მხარეები, ოპტიმალურად იყოს გამოყენებული. მიზანშეწონილია, სწავლება-სწავლის მეთოდების სტრუქტურირება მოხდეს ისე, რომ იგი არ მოიცავდეს ისეთი აქტიური პრაქტიკის კომპონენტებს, რომლებიც უნდა უზრუნველყოს სამართლის სამაგისტრო საფეხურმა (კერძოდ, თანმიმდევრული გადასვლა პასიური პრაქტიკიდან აქტიურ პრაქტიკაზე). მაგალითად, ეს ეხება ისეთ სასწავლო კურსებს, როგორებიცაა ევროკავშირის სამართალი, საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი, საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, აკადემიური წერა, სამართლებრივი წერა, ხელშეკრულების შედგენის მეთოდიკა, საარბიტრაჟო სამართალი, სამოქალაქო სამართალში სასამართლო უნარ-ჩვევების სამართლებრივი წერის, სამოქალაქო სამართალში სასამართლო უნარ-ჩვევებისა და იურიდიულ პროფესიათა ეთიკის სასწავლო კურსები, ბავშვის უფლებების დაცვის სამართალი, შრომის სამართალი. რაც უფრო მეტად დაკონკრეტდება (ვიწრო სპეციალიზაციის კუთხით) სასწავლო კურსების სილაბუსებში განსაზღვრული სწავლის მიზნები და შედეგები, მით უფრო ეფექტიანი შეფასების სისტემა ექნება პროგრამას, დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;

○ კურიკულუმის რუკა; ○ ვებგვერდი; ○ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ○ მიზანშეწონილია, დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ისე მოარგოს ინტერნაციონალიზაციის პროცესს, რომ უზრუნველყოს საერთაშორისო/ადგილობრივ საგრანტო პროექტებში სტუდენტების მაღალი ჩართულობა, რომ უნივერსიტეტის შესაძლებლობები, ძლიერი მხარეები, ოპტიმალურად იყოს გამოყენებული.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ პრაქტიკული კომპონენტების (კლინიკის) სტრუქტურირება, სასურველია, მოხდეს ისე, რომ იგი არ მოიცავდეს ისეთი აქტიური პრაქტიკის კომპონენტებს, რომლებიც უნდა უზრუნველყოს სამართლის სამაგისტრო საფეხურმა (კერძოდ, თანმიმდევრული გადასვლა პასიური პრაქტიკიდან აქტიურ პრაქტიკაზე). ○ პროგრამის განვითარებისთვის, სასურველია, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობების მხარდასაჭერად, სწავლება-სწავლის თანამედროვე მეთოდების დასანერგად, პერიოდულად ჩატარდეს აკადემიური პერსონალისთვის გადამზადების კურსები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო პროგრამის სილაბუსების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის ყველა სილაბუსში ნათლად არის განსაზღვრული სწავლის/სწავლების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და პირობები, რაც სრულად შეესაბამება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 05 იანვრის N3 ბრძანებას.

ასევე, დაცულია „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 05 იანვრის N3 ბრძანების 4-ე მუხლის მეორე ნაწილი, კერძოდ, შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.

შეფასების სისტემა უშვებს: ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას: ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სასწავლო კურსების სილაბუსებში გაწერილი შეფასების ფორმებით და მეთოდებით შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევა. საგნების სილაბუსებში ასახულია სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების შემდეგი ფორმები: შუალედური გამოცდა, კაზუსის ამოხსნა, როლური/სიტუაციური თამაში, ესე. ინდივიდუალური სწავლის შედეგის მიღწევის დონეზე სტუდენტს მუდმივად შეუძლია მიიღოს ინფორმაცია სასწავლო პროცესის მართვის სისტემის (Unik Follow;) საშუალებით.

გამოკვეთილი ხარვეზები: წარმოდგენილი დოკუმენტაციის, აგრეთვე - ინტერვიუს შედეგებმა აჩვენა, რომ რიგ შემთხვევებში, პრობლემურია უკუკავშირის მიღება სტუდენტების მიერ შუალედური და საბოლოო გამოცდის შედეგებზე. ასევე, გასაუბრებისას, სტუდენტებისა და ლექტორების მიერ მოწოდებული გასაჩივრების პროცედურები არ დაემთხვა. გამოკითხული ლექტორებიდან ერთ-ერთმა აღნიშნა, რომ მის საგანში მიღებული ქულა, აქამდე არცერთ სტუდენტს არ გაუპროტესტებია, შესაბამისად, დეტალურად არ იცნობდა გასაჩივრების პროცედურას. სტუდენტებმა, კი აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა, როგორც მიღებული შეფასების გაპროტესტების, ასევე უკუკავშირის მიღების გამართული პროცედურები, თუმცა ვერ მოიყვანეს კონკრეტული მაგალითი, რადგან მათ ეს სწავლის პროცესში „არ დასჭირდათ.“ გამოკითხული სტუდენტებიდან ერთ-ერთმა მიუთითა, რომ არასასურველი შეფასების მიღების შემთხვევაში, განცხადების დაწერის შემდეგ ხელახლა ხდებოდა გამოცდის ჩაბარება, მაშინ როდესაც ერთ-ერთმა ლექტორმა განაცხადა, რომ განცხადების დაწერის შემდგომ, გასაჩივრებულ ნაშრომს თავად გადახედავდა და დამოუკიდებლად წყვეტდა ქულა მომეტებინა თუ არა.

ძლიერი მხარეები: სტუდენტები ინფორმირებულნი არიან სასწავლო პროცესთან და შეფასებასთან დაკავშირებულ ძირითად დეტალებზე. სასწავლო პროცესი ზემოთ ჩამოთვლილი ხარვეზების გამოკლებით არის გამჭვირვალე და სტუდენტებში ტოვებს ობიექტურობის განცდას. სტუდენტები სასწავლო პროცედურებთან დაკავშირებულ ინფორმაციას იღებენ უნივერსიტეტის საიტის (unik.edu.ge) სოციალური ქსელების (unik.edu.ge; Facebook; Viber;) და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის ბაკალავრის პროგრამა;
- პროგრამის სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან;
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის მოქმედ და ყოფილ სტუდენტებთან.

რეკომენდაციები: ○ სასურველია ეფექტური, ობიექტური და გამჭვირვალე სისტემა, სურვილის შემთხვევაში სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრების უზრუნველყოფისათვის. უნდა მოხდეს შეფასების შედეგების ანალიზი და მისი გამოყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად. ○ სასწავლო პროცედურის ეფექტურობის ამაღლების მიზნით, სტუდენტთათვის უკუკავშირის მიცემის მექანიზმის დახვეწა სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად, ასევე, სტუდენტების ძლიერი და სუსტი მხარეების თაობაზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის			✓	

ათვისების შეფასების ადეკვატურობა				
--	--	--	--	--

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ძლიერი მხარეები: ქუთაისის უნივერსიტეტში სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულთა ბაზების წარმოების მიზნით, გამოყოფილია შესაბამისი საშტატო ერთეული. კოორდინატორი უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას შრომის ბაზრის და პოტენციური დამსაქმებლების შესახებ, ახორციელებს სტუდენტთა კონსულტირებას პროფესიული ორიენტაციის, საკუთარი განათლებისა და კარიერის დაგეგმვის, სამუშაოს ძიების პროცესისათვის საჭირო დოკუმენტების მომზადების საკითხებზე; წარმოადგენს შუამავალს უნივერსიტეტს, კურსდამთავრებულებს და დამსაქმებლებს შორის. სადაც მათ საშუალება ეძლევათ დასვან შეკითხვები და მიიღონ პასუხები პროფესიულ განათლებაზე, საგანმანათლებლო პროცესებსა და ადმინისტრაციულ საკითხებზე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებთან და სამართლის პროგრამა კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ისინი პროგრამის ხელმძღვანელისგან იღებენ/იღებდნენ აკადემიურ მიღწევებთან და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებულ მხარდაჭერას. პროგრამის ხელმძღვანელებმა აღნიშნული საკითხი დაადასტურეს ინტერვიუში და აღნიშნეს, რომ აკრედიტაციის მინიჭების შემთხვევაში, სამართლის პროგრამის სტუდენტებიც ისარგებლებენ ამ მომსახურებით. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმი სასამართლოსთან, იურიდიული დახმარების სამსახურთან, სხვადასხვა საჯარო უწყებებთან და კერძო ბიზნესებთან, რაც ხელს უწყობს სტუდენტების კარიერულ განვითარებას, მათ მიერ პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენასა და ეხმარება სასურველი სამსახურის მოძიებაში.

უნივერსიტეტში აქტიურად ტარდება სტუდენტური კონფერენციები, რომლის მონაწილეებსაც გადასცემენ სხვადასხვა სახის სერთიფიკატს.

გამოვლენილი ხარვეზები: საერთაშორისო საქმიანობის კოორდინაციისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით შპს ქუთაისის უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საერთაშორისო ურთიერთობათა სამსახური. თუმცა, უნივერსიტეტს არ გააჩნია დოკუმენტი პროგრამის ინტერნაციონალიზაციის შესახებ, სადაც ასახული იქნებოდა მისი ხედვა და განსახორციელებელი აქტივობები ინტერნაციონალიზაციის

თვალსაზრისით. შპს ქუთაისის უნივერსიტეტს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამის (Erasmus Mundus) ფარგლებში ორ გაცვლით პროგრამაში მიიღო მონაწილეობა (EMBER, HUMERIA). ინტერვიუში, პროგრამის ხელმძღვანელებმა, აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, ჩაერთონ გაცვლით პროგრამებში. ინტერვიუში მონაწილე სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ იციან აღნიშნული პროგრამების არსებობის თაობაზე, თუმცა არასოდეს მიუღიათ მონაწილეობა ამ ტიპის პროგრამებში და არც იცნობენ სტუდენტს, ვინც ამ შესაძლებლობით ისარგებლა. უნივერსიტეტის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტებსა და ოფიციალურ ვებ გვერდზე (<https://www.unik.edu.ge/>) არ ფიქსირდება ხელშეკრულება უცხოურ უნივერსიტეტებთან, ან სხვა სახის დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა, რომ სამართლის პროგრამის ბაკალავრებს შესაძლებლობა ექნებათ გაცვლით (მათ შორის ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ) პროგრამებში მიიღონ მონაწილეობა. აღნიშნული გარემოების გამო, მითითებული კრიტერიუმი ვერ არის შესრულებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამები, სამართალი
(<http://unik.edu.ge/PagePDF/92fc8b0a0c848c5b657a0e627642bad4.pdf>);
- საჯარო და კერძო დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმები;
- ინტერვიუს შედეგები სტუდენტებთან;
- ინტერვიუს შედეგები კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა შექმნას დოკუმენტი პროგრამის ინტერნაციონალიზაციის შესახებ, სადაც შეიძლება აისახოს მისი ხედვა და განსახორციელებელი აქტივობები ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით.
- მიზანშეწონილია, უნივერსიტეტის სამართლის პროგრამის სტუდენტებს ჰქონდეთ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა, რის თაობაზეც უნივერსიტეტმა უნდა მოამზადოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- o საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- o

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		✓		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროგრამის განმახორციელებელი პირების შესახებ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, **აფელირებული ასისტენტები** ატარებენ ლექციებს, სემინარებს, ზოგადად წარმოადგენენ სასწავლო საგნების (არაერთის) წამყვან ლექტორებს. (ნ.თ. - კონსტიტუციური სამართალი სახელმწიფო მოწყობა, საარჩევნო სამართალი, კაზუსის ამოხსნის მეთოდთა კონსტიტუციურ სამართალში; თ.მ. - სანივთო სამართალი, საარბიტრაჟო სამართალი, საერთაშორისო კერძო სამართალი, კაზუსის ამოხსნის მეთოდთა კერძო სამართალში (ს.ყ.-თან ერთად, რომელიც არის მოწვეული მასწავლებელი). „**უმაღლესი განათლების შესახებ**“ საქართველოს კანონის თანახმად, ასისტენტი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით; ამ საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები დაისვა პროგრამის ხელმძღვანელებთან კანონთან შესაბამისობის კონტექსტში, რის შედეგად მივიღეთ პასუხი, - რომ არ ხედავენ ამაში პრობლემას, ამასთან, გადაწყვეტილებები მიიღეს მათი კვალიფიკაციის საფუძველზე, მალე ერთ-ერთს, როგორც კი დოქტორი გახდება, აკადემიური სტატუსი (თანამდებობა) შეეცვლება. დამატებით დაისვა შეკითხვა, - წინასწარ როგორ არის გარანტირებული ასისტენტისთვის ახალი პოზიცია, როცა აკადემიური თანამდებობის დაკავება საჯარო კონკურსს ექვემდებარება და იქნებ კონკურსის შედეგად სხვა აჩვენებს საუკეთესო შედეგებს? ამ საკითხზე გასაუბრებამ, ლეგიტიმურად გააჩინა მოსაზრება, რომ პროგრამას ერთგვარად აქვს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის (შესაბამისი პროფილით) დეფიციტი, ამიტომაც, ასისტენტები ფაქტიურად იკავებენ მათ ადგილს.
- ს. ყ. არის მოწვეული მასწავლებელი. დაგეგმილია, რომ მან ჩაატაროს ლექცია-სემინარები შემდეგ 5 საგანში: **იურიდიულ პროფესიათა ეთიკა, სასამართლო უნარ-ჩვევები სამოქალაქო სამართალში, სამართლებრივი წერა, ბავშვთა უფლებების დაცვის სამართალი, კაზუსის ამოხსნის მეთოდთა კერძო სამართალში.** საგნის **სასამართლო უნარ-ჩვევები სამოქალაქო სამართალში** შინაარსი ძირითადად აქცენტირებულია ადვოკატის უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე (ადვოკატის უფლებები და მოვალეობები, კლიენტთან ინტერვიუ, ადვოკატის ეთიკის ნორმები, მტკიცებულებების მოპოვება, ადვოკატის პოზიციის დასაბუთება, ადვოკატი სამოქალაქო სამართალწარმოებაში, პაექრობა და სხვა). აშკარაა, რომ თემატიკა/შინაარსი და სათაური ერთმანეთს არ შეესაბამება. სასამართლო უნარ-ჩვევები უფრო ფართო პროფილისაა (შეიძლება მიემართებოდეს მოსამართლის თანაშემწეს, სხდომის მდივანს და სხვა). აღნიშნულ საკითხზე შეკითხვა დაისვა, რაზეც პასუხი იყო, რომ **სილაბუსი არ არის ორიენტირებული მხოლოდ ადვოკატის უნარ-ჩვევებზე.** თუმცა სილაბუსის შინაარსიდან ეს არ არის ნათელი.
- აქვე მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხის განხილვა: რატომ დანაწევრდა სასამართლო უნარ-ჩვევების სწავლება 6-6 კრედიტიან 79-79 საკონტაქტო საათებიან 3 საგნად

(სამოქალაქო სამართალში, სისხლის სამართალში (გ.ს), ადმინისტრაციულ სამართალში (ც.კ.)), რომლებიც ძირითადი სავალდებულო საგნების სვეტშია განთავსებული. ფაქტიურად, სტუდენტი 3-ჯერ სავალდებულოდ გადის სასამართლო უნარ-ჩვევებს, სულ მცირედი სპეციფიკის განსხვავებით. ამასთან, არ არის ნათელი რატომ განისაზღვრა სასამართლო უნარ-ჩვევების 3 საგანი იმ სავალდებულო კურსებად, რომლებიც არსებითად უზრუნველყოფენ პროფესიაში შესვლას და საბაკალავრო საფეხურის სწავლის შედეგებზე გასვლას. აქვე აღსანიშნავია შემდეგიც: დამსაქმებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დაახლოებით იგივე უნარ-ჩვევების გამომუშავებაზეა ორიენტირებული ის სტაჟირება/პრაქტიკა, რაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოსა და უნივერსიტეტს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმით განისაზღვრა. არის საკანონმდებლო ჩანაწერებიც, რომლის საფუძველზე როგორც ადვოკატს, ასევე, სასამართლო აპარატის მოხელეს მოეთხოვება სპეციალური სტაჟირებისა და სხვა შესაბამისი პრაქტიკის გავლა.¹

- ს.ყ.-ის საგნებში - სამართლებრივი წერა და იურიდიულ პროფესიათა ეთიკა - წინაპირობად განსაზღვრულია სისხლის სამართლის პროცესის კერძო ნაწილი და სამოქალაქო სამართლის პროცესი 2. სამართლებრივი წერა ისწავლება VII სემესტრში, იურიდიულ პროფესიათა ეთიკა - VIII სემესტრში. თავის მხრივ, სისხლის სამართლის პროცესის კერძო ნაწილი და სამოქალაქო სამართლის პროცესი 2 ძირითად სავალდებულო საგნებში შედის და ისწავლება VI სემესტრში. დაისვა შეკითხვა, რატომ განისაზღვრა ორ-ორი საგანი წინაპირობად ორ სხვადასხვა საგანში ერთნაირად. პასუხი იყო, რომ სტუდენტი ვერ გაივლის სრულყოფილად სამართლებრივ წერას, თუ არ აქვს პროცესები გავლილი. შეკითხვაზე სრული პასუხი არ გაცემულა და საკითხის ასე გადაწყვეტის ლოგიკა (ორივე საგანთან მიმართებით) დარჩა ბუნდოვანი. საგნებში სამართლებრივი წერა, სასამართლო უნარ-ჩვევები სამოქალაქო სამართალში, იურიდიულ პროფესიათა ეთიკა - იდენტურია სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები. დაისვა შეკითხვა - რატომ ამ სამ საგანში ერთნაირი მეთოდები და აქტივობები? პასუხად მივიღეთ - მეთოდები შეიძლება იყოს ერთიდაიგივე, ხოლო

¹ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონიდან: მუხლი 57. მოთხოვნები, რომლებიც წაყენება სასამართლოს აპარატის თანამშრომელს თანამდებობაზე დანიშვნისას

1. სასამართლოს აპარატის მოხელედ, რომლის ფუნქციები პირდაპირ არის დაკავშირებული სასამართლოში სამართალწარმოების განხორციელებასთან, შეიძლება დაინიშნოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც, როგორც წესი, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, იცის სამართალწარმოების ენა, აქვს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საჯარო მოხელის სერტიფიკატი, გავლილი აქვს ერთ წლამდე ანაზღაურებადი სტაჟირება საერთო სასამართლოში და სპეციალური სასწავლო კურსი იუსტიციის უმაღლეს სკოლაში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს/უზენაესი სასამართლოს პლენუმის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონიდან:

ადვოკატი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც: ა) აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება; ბ) ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა ამ კანონით დადგენილი წესით ან ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის/პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდა; გ) გავლილი აქვს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული პროფესიული ადაპტაციის პროგრამა, რომელიც 1-წლიანია და შედგება თეორიული ნაწილისა და სტაჟირებისაგან.

აქტივობები განსხვავებულიაო. პასუხი არ ნათელი, რამეთუ სილაბუსესები სხვას მოწმობს.

- საგანში **სამართლებრივი წერა, ძირითად ლიტერატურაში მითითებულია საქართველოს კანონები** - საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსი და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. არ არის ნათელი, გამჭვირვალე და განჭვრეტადი, ერთი მხრივ, ამ საგანში სავალდებულო ლიტერატურად ზოგადად კანონები რატომ მიეთითება, მეორე მხრივ, რატომ უშუალოდ ეს კანონები? ამასთან, სავალდებულო ლიტერატურად განსაზღვრულია „სამართლებრივი მართლწერის უნარ-ჩვევების და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გასაჩივრების პროცედურების შესახებ“ 2012 წლის სახელმძღვანელო (ორიენტირებულია რა სპეციფიკურ სემინტზე), მაშინ როცა დამატებით ლიტერატურად განსაზღვრულია 2017 წლის სახელმძღვანელო - სამართლებრივი წერა (ავტორთა კოლექტივი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი). ამასთან, **სამართლებრივი წერის სილაბუსის შინაარსი უმეტესწილად და ვიწროდ ორიენტირებულია სარჩელის, შესაგებლის, შუამდგომლობის, განჩინებათა მომზადების სწავლებაზე**. ფაქტიურად, საგანი სამართლებრივი წერა აქცენტირებულია საპროცესო დოკუმენტაციის მომზადებაზე. აქ არ ფიგურირებს ისეთი საკითხების სწავლება, როგორიცაა სამართლებრივი წერის ტექნიკა, სამართლებრივი თემის სათაურის შერჩევა, თეზისების ჩამოყალიბება, ფაქტების გადმოცემის ტექნიკა, სიზუსტე და სიცხადე სამართლებრივ ნაშრომში და სხვა.
- საგანში **ბავშვის უფლებების დაცვის სამართალი**, სავალდებულო ლიტერატურად განსაზღვრულია მხოლოდ ნორმატიული აქტები, დამატებითი ლიტერატურაც შედგენილია სამართლებრივი აქტებისაგან. საგანი უაღრესად მნიშვნელოვანია, აქტუალურია, ახალია, მაგრამ **შესაბამისი სახელმძღვანელოს გარეშე, მხოლოდ ნორმატიული აქტების სწავლების საფუძველზე, საეჭვო ხდება სწავლის შედეგების დადგომა**. სულ მცირე, ლექტორის ჰენდაუთი მაინც უნდა იყოს.
- **ქ.კ. არის პროფესორი**. დაგეგმილია, რომ მან ჩაატაროს ლექცია-სემინარები შემდეგ 5 საგანში: შრომის სამართალი, ევროკავშირის სამართალი, მედიაცია, სახელშეკრულებო სამართალი, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი. **მას არ აქვს გამოქვეყნებები შრომის სამართლის სფეროში**, თუმცა სხვა საგნებთან დაკავშირებით უფიქსირდება ძალიან კარგი და მოცულობითი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. **შრომის სამართლის სილაბუსში** არ არის წარმოდგენილი უახლესი და შინაარსობრივად უმნიშვნელოვანესი ლიტერატურა, როგორიცაა 2020 წლის შრომით დავებზე საქართველოს სასამართლო პრაქტიკა (ზ. შველიძე), 2017 წლის საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები (ზ. შველიძე, ქ. ბოდონე, თ. თოდრია, თ. ხაჭოშია, ნ. გუჯაბიძე, ქ. მესხიშვილი), 2014 წლის შრომის სამართლის უახლესი ცვლილებების სამართლებრივი ასპექტები (ავტორთა კოლექტივი, თსუ, GIZ). შრომის სამართლის სტატიათა I და II კრებულები. აკადემიური პერსონალის აკადემიური თავისუფლება გარანტირებულია, მათ შორის ლიტერატურის შერჩევაში, თუმცა ეს საკითხი წამოჭრა იმ გარემოებამ, რომ სილაბუსში განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა ვერ პასუხობს სრულად იმ მოთხოვნებს (თეორიული და პრაქტიკული ცოდნის

თვალსაზრისით), რაც თანამედროვე შრომის სამართლის უახლესი და სპეციფიკური საკითხებია, როგორცაა დისკრიმინაცია შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში, მათ შორის, შევიწროება, სექსუალური შევიწროება, ვიქტიმიზაცია, კონკურენცია შრომით ურთიერთობებში და სხვა (რიგი მათგანი იყო 2019 წლის საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველი). სამწუხაროა, რომ სილაბუსში მითითებულია გაუქმებული 2018 წლის საქართველოს კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“. 2019 წელს მიღებულ იქნა ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“.

- სილაბუსში ინტერნეტ-რესურსად მითითებულია საქართველოს სრული საკანონმდებლო ბაზა: <http://Laws.codexserver.com>. თანამედროვე იურისტი საკანონმდებლო აქტებს უნდა ეძებდეს ოფიციალური გამოქვეყნების ადგილას matsne.gov.ge (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე), მას უნდა ჰქონდეს გამომუშავებული უნარი მოიძიოს კანონთა კონსოლიდირებული ვერსიები, კანონთა არაკონსოლიდირებული ვერსიები და სამართლებრივი ისტორიის ცვლილებების დინამიკა და სხვა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, სტუდენტმა უნდა იცოდეს სად როგორ ეძებოს კანონთა ოფიციალური ვერსიები. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია უნივერსიტეტს წვდომა ჰქონდეს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს კანონქვემდებარე აქტების კონსოლიდირებულ ვერსიებზე (კონსტიტუციის, ორგანული კანონების, კანონების კონსოლიდირებულ ვერსიებზე წვდომა თავისთავად უფასოა). ეს მნიშვნელოვანია არამხოლოდ სამართლის პროგრამისათვის).
- საგანში ევროკავშირის სამართალი, ძირითად ლიტერატურად მითითებულია 2012 წლის და 2006 წლის ლიტერატურა (მალიან კარგი ლიტერატურა, თუმცა არსებობს უახლესი სხვა ლიტერატურა, როგორცაა ევროკავშირის პოლიტიკა, ჯონ მაკკორმიკი, კავკასიის უნივერსიტეტი, თბილისი, 2016 (თარგმანი); ირაკლი პაპავა, ევროპის კავშირის ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები: საბაზისო აქტები და კომენტარები, თბილისი, 2017 წ.) და სხვა. რესურსებში მითითებულია ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებების/CJEU ვებ-გვერდი. თუ პროგრამა, ზოგადი და დარგობრივი ინგლისურის ინტენსიურ სწავლებას უზრუნველყოფს, რაც სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას ინგლისურად გაეცნოს CJEU-ის გადაწყვეტილებებს, მაშინ თამამად შესაძლებელი ყოფილა უახლესი ინგლისურენოვანი ლიტერატურის მითითებაც. სილაბუსის შინაარსობრივ გაშლაში არ ფიგურირებს ისეთი არსებითი სამართლებრივი პრინციპები, როგორცაა სუბსიდიარობისა და პროპორციულობის პრინციპი; საქონლის გადაადგილების CJEU-ის დოქტრინალური ქეისები, მაგალითად, კეკის ფორმულა, დასონვილის ფორმულა და სხვა. ერთი სალექციო შეხვედრის/გაკვეთილის ფარგლებშია ჩატეულია 4 უზარმაზარი თემა - პოლიტიკური ორგანოს მიმოხილვა (ევროპული კომისია, ევროპული საბჭო, საბჭო, პარლამენტი). მიუხედავად იმისა, რომ თემატურ ჩაშლაში არ არის ასახული, საბჭოს მიერ კანონთა მიღების პროცედურები (ორმაგი უმრავლესობით საკითხთა გადაწყვეტის მექანიზმი), იგი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ევროკავშირის სამართალშემოქმედებისა და ზოგადად ევროკავშირის ბუნების შესამეცნებლად, რაც, თავის მხრივ, არსებითად მნიშვნელოვანია საქართველოს ახალგაზრდობის მხრიდან

ევროპული ინტეგრაციის პროცესების გასაგებად. ასეთ ასპექტებს ევროკავშირის სამართლის სწავლებისას უნდა დაეთმოს სათანადო და შესაბამისი დრო. მიზანშეწონილია საკითხების უფრო ეფექტური სალექციო გადანაწილება.

- ევროკავშირის სამართლის სილაბუსში დამატებითი ლიტერატურის ნაწილში მითითებულია ისეთი წყაროები, რომელთა უშუალო ან/და აუცილებელი კავშირი ევროკავშირის სამართალთან არ იკვეთება და რეალურად/ფაქტობრივად სტუდენტს არ გამოადგება ამ საგანში: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია 1948; ალექსიძე ლ., თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ. 2015 (ევროკავშირის აქ ეხება 3 ფურცელი); კონსტანტინე კორკელია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში. თბ., 2004; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, 1950. ამის პარალელურად არ არის მითითებული ისეთი ლიტერატურა, როგორიცაა ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტია.
- ასისტენტის აკადემიური თანამდებობის დაკავების მიზნით, კონკურსანტმა უნდა წარადგინოს სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი (ბოლო 10 წლის განმავლობაში). ექსპერტებისათვის მოწოდებულ ინფორმაციაში წარმოდგენილ იქნა აფელირებული ასისტენტის ნ.თ. გამოქვეყნებების შესახებ ფაილი (**იხ.ფაილი როგორი ფორმითაც იყო მოწოდებული**). წარმოდგენილი ფაილის მიხედვით შეუძლებელია ნ.თ.-ს სამეცნიერო საქმიანობის იდენტიფიცირება, ამასთან, ფაილში ინტეგრირებულია საგაზეთო სტატია („ახალი გაზეთი“). აღნიშნულთან დაკავშირებით დაისვა შეკითხვა: აკადემიურ თანამდებობაზე მიღება ხდება განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შედეგად. თუ კონკურსანტის მიერ შემოტანილ იქნა საგაზეთო სტატია, როგორ ჩაითვალოს ის შესაფერის კანდიდატად, ან შემდგომ რატომ გაიგზავნა იგი აკრედიტაციის ექსპერტებთან? შეკითხვა დაისვა პროგრამის ხელმძღვანელებთან. პასუხი იყო, რომ ყველა კონკურსანტი შერჩეულია დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. გასაუბრების დასრულების შემდეგ, ადმინისტრაციის მხრიდან გამოითქვა პრეტენზია, რომ ისინი არ დაუშვებენ ნ.თ.-ის კვალიფიკაციის დაწინაურებას. იმედია, მივიღებთ პასუხს დასმული შეკითხვების შინაარსის გასაბათილებლად, რაც ძალიან სასიხარულო იქნება, რამეთუ საგაზეთო სტატიის მიჩნევა სამეცნიერო ნაშრომად, დიდი ეჭვის ქვეშ დააყენებს პროგრამასთან დაკავშირებულ ბევრ ასპექტს. არ არის გამორიცხული, რომ ტექნიკური შეცდომა გაპარულიყო, თუმცა, სამწუხარო ფაქტი იყო ექსპერტის შეკითხვაზე ამგვარი რეაგირება, მით უფრო აკადემიურ სივრცეში. პრეტენზია არ გამოუწვევა იმ ფაქტს, რომ უფრო მეტი რაოდენობის, მეტი სიმძიმის შეკითხვები იქნა დასმული სხვა აკადემიური პერსონალის მიმართ.
- ზემოაღნიშნულ და სხვა შემთხვევებშიც აკადემიური პერსონალისათვის, უმეტესწილად, განკუთვნილია 3,4,5 საგანი, რაც მათი სასწავლო კომპონენტის ფარგლებში დიდ დატვირთვაზე მოწმობს (სწორად რომ იქნას აღქმული, განვმარტავ, რომ თავისთავად სასწავლო დატვირთვა არ არის პრობლემა). სასწავლოს გარდა, აკადემიურ პერსონალს მოეთხოვება სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულება, რომელიც მათი საუნივერსიტეტო დატვირთვის 55%-ს მოიცავს (160 ქულა). 2019 წლის 10 სექტემბრის, რექტორის # 518 ბრძანების შესაბამისად:

„სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი თავის მხრივ წარმოადგენს 160 ქულიან საქმიანობათა პაკეტს თუმცა მათგან მაქსიმუმ 100 ქულის ათვისება შეუძლიათ, რაც გულისხმობს, რომ პერსონალი არსებული ჩამონათვალიდან 100 ქულაზე მეტის დაგროვების შემთხვევაშიც კი კომპონენტზე მინიჭებული მაქსიმუმი 100 ქულით შეფასდება. ასევე შესაძლებელია ერთი ელემენტის ორჯერ, სამჯერ ან მეტჯერ შესრულების შემთხვევაში გაორმაგებული, გასამმაგებული და ა.შ. შესაბამისი ქულა მიიღოს.

ა) უცხოურ ან ქართულ სამეცნიერო ინდექსირებულ ჟურნალში ნაშრომის გამოქვეყნება - 15 ქულა;

ბ) არაინდექსირებულ ჟურნალში ნაშრომის გამოქვეყნება (ანტიპლაგის პროგრამის გავლის შემთხვევაში) - 5 ქულა;

გ) მონოგრაფიის დაბეჭდვა რეგისტრირებულ გამომცემლობაში (მინიჭებული უნდა ქონდეს ISBN კოდი) – 15 ქულა;

დ) საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა და მოხსენების ინდექსირებულ ჟურნალში გამოქვეყნება - 15 ქულა;

ე) საქართველოში, კონფერენციაში მონაწილეობა და კონფერენციის შრომების კრებულში მოხსენების გამოქვეყნება - 5 ქულა;

ვ) ნებისმიერ საქართველოს აკრედიტირებულ უნივერსიტეტში დასაცავი დისერტაციის ოფიციალურ შემფასებლად ან/და ექსპერტად საქმიანობა - 15 ქულა;

ზ) სადისერტაციო კომისიის წევრობა - 5 ქულა;

თ) სახელმძღვანელოს გამოცემა (მინიჭებული უნდა ქონდეს ISBN კოდი) – 15 ქულა;

ი) რიდერის შემუშავება - 5 ქულა;

კ) გრანტის მოპოვება და ხელმძღვანელობა - 15 ქულა;

ლ) გრანტში მონაწილეობა - 5 ქულა;

მ) მეცნიერების განვითარებაში წვლილის შეტანისათვის ჯილდო/პრემია მინიჭებისათვის - 10 ქულა;

ნ) საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა - 5 ქულა;

ო) სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა - 10 ქულა;

პ) სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობა - 15 ქულა;

ჟ) საერთაშორისო ტრენინგში/სემინარში მონაწილეობა - 3 ქულა;

რ) ადგილობრივ ტრენინგში/სემინარში მონაწილეობა - 2 ქულა“

აკადემიური პერსონალის ღირსეული მუშაობის, აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფის, შრომითი და პირადი/საოჯახო ცხოვრების ბალანსირების პრინციპების გათვალისწინებით (რომელიც ვალდებულია შეასრულოს თავისი სამუშაოს 45 % სასწავლო კომპონენტში, 5 % ადმინისტრაციულ კომპონენტში და 55% სამეცნიერო კომპონენტში) საინტერესოა როგორ არის გაზომილი აკადემიური პერსონალის შესაძლებლობები ასეთი

წესრიგის პირობებში ან სათანადოდ ანაზღაურებულია თუ არა. მაგალითად, აკადემიურ პერსონალმა, უნდა უზრუნველყოს 4 ან 5 საგანში ხარისხი და სწავლის შედეგებზე გასვლა, როგორც სალექციო-სასემინარო საათების, ასევე საკონტაქტო საათების, ასევე, სტუდენტთა ნამუშევრების გასწორების არასაკონტაქტო საათების, ადმინისტრაციული საათების ათვისება, ამავდროულად, მაქსიმუმ 100 ქულის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობაც უნდა განახორციელოს (წლიური). მაგ.: აკადემიურმა პერსონალმა, ასრულებს რა სასწავლო კომპონენტებს, გადაწყვიტა უხელმძღვანელოს ერთ სამაგისტრო თემას (10 ქულა), გამოსცეს სახელმძღვანელო (15 ქულა), გამოსცეს უცხოურ ან ქართულ სამეცნიერო ინდექსირებულ ჟურნალში ნაშრომი (15 ქულა), მიიღოს მონაწილეობა კონფერენციაში საქართველოში (5 ქულა), - მაინც ვერ შეაგროვო 45 ქულაზე მეტი (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის 55 %-ის რა წილი შეასრულა ამით?). საქართველოს შრომის კანონმდებლობა უშუალოდ არ აწესრიგებს პედაგოგთა შრომითი ურთიერთობებს (განსხვავებით ევროპის ქვეყნების კანონმდებლობისგან), თუმცა საქართველოს კანონმდებლობა იძლევა დიდი თავისუფლების სივრცეს - ა) შრომითი ურთიერთობები კვირის განმავლობაში შეიძლება იყოს ნებისმიერი დატვირთვით არაუმეტეს 40 (ე.ი. შეიძლება იყოს 35 საათიც, 25 საათიც, 10 საათიც), ამასთან, ლეგიტიმურად დასაშვებია ზეგანაკვეთური სამუშაო 40 საათს ზემოთ (იმ ლიმიტირებით, რომ დღეებს შორის დრო არ უნდა იყოს 12 საათზე ნაკლები. დაახლოებით დასაშვებია 80 საათიანი მუშაობა კვირაში); ამასთან, დასაშვებია შეთავსებითი მუშაობაც (სშკ-ს მე-8 მუხლი, რომელიც უნდა განიმარტოს ისე რომ შეთავსებითი მუშაობა ხორციელდება ნებისმიერ სფეროში და არა მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებებში). თვით, შრომის კოდექსის უზარმაზარი თავისუფლების პირობებშიც კი წარმოუდგენელია ის დატვირთვა და მოთხოვნები, რაც გამოიკვეთა პროგრამის ფარგლებში (სამეცნიერო კომპონენტის შესრულების კონტექსტში, რამეთუ ძირითადად ანაზღაურებადია საკონტაქტო საათები). ეს ყველაფერი კი ხარისხის განმაპირობებელია. რა თქმა უნდა, ასეთი დატვირთვა უნდა უზრუნველყოფდეს კეთილდღეობას შესაბამისი ღირსეული ანაზღაურებით. განათლების სისტემამ და პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის ღირსეული შრომა და ღირსეული ანაზღაურება, წინააღმდეგ შემთხვევაში, სტანდარტებისა და ხარისხის შეფასებას მიეცემა წმინდა ფორმალური, ტექნიკური დატვირთვა. ეს არ იქნება რეალური რეფორმა და ევროპული ინტეგრაცია. დაისვა შეკითხვები ხარისხის სამსახურთან - გაზომეს, შეამოწმეს, გააანალიზეს თუ არა მათ აკადემიური პერსონალის დატვირთვის თანაზომიერება და რაციონალურობა მოთხოვნილი კრიტერიუმების პირობებში. პასუხი იყო, რამდენადაც რექტორის ბრძანება ახალია, ჯერ ამის შეფასება არ განხორციელებულა. აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას, დაისვა შეკითხვა, რექტორის ბრძანების შესაბამისად ვინ რამდენი ქულის დაგროვება შესძლო და როგორი ფორმულარითა და წესით აღრიცხეს საკუთარი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა? პასუხი იყო შემდეგი: ეს ჯერ არ გაუკეთებიათ, მხოლოდ 8 პერსონალმა გააკეთა პილოტურად. ვიზიტის დროს ვითხოვეთ ამ 8 პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. თუმცა არ მიგვიღია.

- არის რიგი შემთხვევები, როცა, აკადემიური პერსონალის რეზიუმე არ იძლევა სრულ ინფორმაციას მათი დასაქმების, სტაჟის, ფუნქციების, აკადემიური საქმიანობის შესახებ

(სასწავლო, სამეცნიერო, სხვა); ფიგურირებს რიგი უხერხულობანი, მაგალითად, როგორიცაა დაბადების ადგილი „ოჩამჩირა“. სტუდენტის ან სხვა პირის მიერ ეს შესაძლოა არასწორად იქნეს გაგებული
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ვიზიტის დროს გასაუბრება. ○ აკრედიტაციის მიზნებისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მათ შორის სილაბუსები, პროგრამა, რექტორის ბრძანებები, სხვა. ○ საქართველოს კანონმდებლობა
რეკომენდაციები: • სილაბუსის შინაარსი და სავალდებულო ან/და დამატებითი ლიტერატურა ერთმანეთთან კავშირში უნდა იმყოფებოდეს. ლიტერატურა რეალურად, არსებითად უნდა იყოს სასარგებლო სილაბუსით განსაზღვრული ცოდნის მისაღებად. არ არის აუცილებელი ლიტერატურის ნაწილი დაიტვირთოს და რაოდენობა მიჩნეულ იქნეს ხარისხად. • სილაბუსის შინაარსი და სათაური ურთიერთშესაბამისი უნდა იყოს. • სასწავლო საგნების სავალდებულო კურსებად განსაზღვრა პირდაპირ უნდა ეხმიანებოდეს სამართლის დარგობრივ მახასიათებლებს (სწავლის შედეგები; პროფესიაში შესვლა). აგრეთვე, სტუდენტს არ უნდა გაუჩნდეს შეგრძნება, რომ ის იძულებულია გაიაროს ერთმანეთის მსგავსი სავალდებულო საგნები. • საუნივერსიტეტო გადაწყვეტილებები სრულად შესაბამისი უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობასთან. • ნებისმიერი საგნის სილაბუსი უნდა ამჟღავნებდეს, რომ აკადემიური პერსონალი თავის სფეროში იცნობს მიღწევას, პროგრესს. განსაკუთრებით საქართველოს სამართლის დინამიურობის გათვალისწინებით (რაც განპირობებულია დემოკრატიზაციის პროცესით, ასევე, ასოცირების შეთანხმების შესრულების კონტექსტით) ხშირად იცვლება კანონები, ხდება მოდიფიცირება ინსტიტუტების, მიდგომების, ადგილი აქვს ახალ სასამართლო გადაწყვეტილებებს, რაც უახლესი ლიტერატურის სახით უნდა აისახოს. • მნიშვნელოვანია აკადემიური პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შეფასება და გაანალიზება (სხვა სამსხურებთან (არა მხოლოდ უნივერსიტეტებში) შეთავსების კონტექსტშიც). ასეთი შეფასება და გაანალიზება უნდა ემსახურებოდეს რეალური დატვირთვის განსაზღვრას ან იმის მტკიცებას, რომ პირი მუშაობს უნივერსიტეტში, სადაც უზრუნველყოფილია სრული დატვირთვის (სასწავლო, ადმინისტრაციული, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის) ღირსეული ანაზღაურება (ისე, რომ აკადემიურ პერსონალს არ სჭირდებოდეს სხვა მრავლობითი შეთავსებითი სამუშაოები). ამ რეკომენდაციის მიზანია - ბალანსირება უნივერსიტეტის ინტერესებსა და დასაქმებულის ინტერესებს შორის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- რამდენადაც პროგრამა ორიენტირებულია არა მხოლოდ ზოგადი ინგლისურის, არამედ დარგობრივი ინგლისურის სწავლებაზეც, ამის ერთგვარი შედეგი (გამართლება) კარგად და ნათლად უნდა ვლინდებოდეს V-VIII სემესტრის საგნებში უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენებით ან სხვა კონტექსტში.
- აკადემიური პერსონალის რეზუმეები საჭიროებს მოწესრიგებას (აქ არ იგულისხმება ერთი შაბლონის ქვეშ მოქცევა, მხოლოდ ინფორმაციული სრულყოფა და აკადემიურობა).
- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია საჭიროებს მოწესრიგებას, სისტემატიზირებას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- უნივერსიტეტმა ავტორიზაცია გაიარა 2018 წელს. ძირითადი ნაწილი საუნივერსიტეტო აქტებისა და წესებისა მიღებულია 2019 წელს. ფაქტიურად, სისტემური, სტრუქტურული, ხარისხობრივი თუ სხვა ასპექტების განვითარების დინამიკაში დანახვისა და შეფასებისათვის შესაბამისი დოკუმენტაცია არ არის. არც ვიზიტის დროს იყო შესაძლებელი ისტორიულად (28 წლიანი ფუნქციონირების მანძილზე) ნელ-ნელა ჩამოყალიბებული და გაუმჯობესებული პრაქტიკის სრული დაკვირვება, მათ შორის **პერსონალის პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით**. გამონაკლისს წარმოადგენდა 2006-2007 წლებში სამართლის კურსდამთავრებულებთან **გასაუბრება** (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარეობდა დიდი ტექნიკური შეფერხებით და სრულყოფილი გასაუბრების პირობები არ იყო). **ეს გასაუბრება იყო ერთობ საინტერესო რიგი ფაქტების შეპირწონების თვალსაზრისით**. ერთ-ერთმა კურსდამთავრებულმა თ.ნ.-მ აღნიშნა, რომ *ის თავდაპირველად სწავლობდა აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში, სადაც არ მიმდინარეობდა კარგი სწავლა და როცა მიხვდა იქ ვერაფერს ისწავლიდა გადავიდა ქელბაქიანის უნივერსიტეტში. აქ კი მან ნახა სხვა გარემო, რეალური ცოდნის გადაცემისა და სწავლის პირობები. როცა დაასრულა ქუთაისის უნივერსიტეტი, მან დაიწყო იურისტის კარიერა და უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ თსუ-ს სტუდენტებსაც სჯობდა. (ეს ერთადერთი შემთხვევა არ იყო ვიზიტის დროს, როცა წერეთლის უნივერსიტეტი შედარებისას ნეგატიურ კონტექსტში იყო წარმოდგენილი, მათ შორის ადმინისტრაციის მხრიდანაც)*. სამართლის კურსდამთავრებულის ასეთი აზრი უნდა დაფუძავშიროთ ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორის მხრიდან ვიზიტის დროს აღნიშნულ ფაქტს: *2006 წლიდან სამართლის პროგრამაზე უნივერსიტეტს არ მიუღია სტუდენტები. პროგრამა შეწყდა, რამეთუ ამ დროისთვის პროგრამას ახალი სტანდარტები უნდა დაეკმაყოფილებინა, მათ შორის აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით, რაც უნივერსიტეტს არ ჰყავდა. ეს ორი ფაქტი, ვფიქრობ, ურთიერთგამომრიცხავია შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით: ქუთაისის უნივერსიტეტი თავდაპირველად (28 წლის წინ) დაფუძნდა სპეციალური პროფილით - სამართლისა და ეკონომიკის ინსტიტუტი. ე.ი. მისი ყველაზე ძლიერი და განსაკუთრებული ნიშა იყო სამართალი. ამდენად, უნივერსიტეტს უნდა ჰყოლოდა კვალიფიციური და უძლიერესი აკადემიური პერსონალი (საქართველოს სამართლის მეცნიერებას ჰყავდა და ჰყავს ძლიერი პროფესიონალები და კორიფეები ყველა თაობაში, რომლებზეც სტანდარტების ცვლილებას არანაირი ნეგატიური ზემოქმედება არ მოუხდენია; ხანდაზმული პროფესორები დღესაც თაობების აღზრდას ახორციელებენ წარმატებით)*. ე.ი. უნივერსიტეტს მაშინაც, როცა სამართლის პროფილით ფუნქციონირებდა, ჰქონდა კვალიფიციური კადრების პრობლემა და ახალი სტანდარტების დამკვიდრებასთან ერთად ვერ დააკმაყოფილა ახალი მოთხოვნები. ამის ფონზე კურსდამთავრებული აცხადებს, რომ მიიღო საუკეთესო განათლება (აი ისეთი თსუ-ს კურსდამთავრებულებსაც რომ სჯობდა). კურსდამთავრებულებთან შეხვედრისას, ასევე დადგინდა, რომ **წარსულში ფუნქციონირებადი პროგრამის ფარგლებშიც სავალდებულო კომპონენტი იყო საბაკალავრო ნაშრომი**. ახალ პროგრამაშიც საბაკალავრო ნაშრომი სავალდებულო კომპონენტია. ვიზიტის დროს, კი

ეს ასპექტი ახსნილი იყო, როგორც ინოვაციური, მნიშვნელოვანი, ისეთი, რომელიც ყველა უნივერსიტეტში არ არის (ვეთანხმები, რომ საბაკალავრო ნაშრომი მნიშვნელოვანი კომპონენტია, თუმცა აქ მინიშნებაა იმაზე, რომ იგი არსებობდა წარსულ შეწყვეტილ პროგრამაში).

- ზემოაღნიშნულის გარდა, სხვა დინამიკის თაობაზე ინფორმაციას არ ვფლობთ. რაც შეეხება 2019 წლიდან დაწყებულ ახალ საუნივერსიტეტო ცხოვრებას: პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილ ბიუჯეტზე დაყრდნობით, შესაძლებელია აღინიშნოს, რომ არ არის შეთავაზებული აკადემიური პერსონალისათვის ქვეყნის გარეთ სამივლინებო ხარჯები; შიდა საუნივერსიტეტო სამეცნიერო კვლევებისათვის გამოყოფილია მხოლოდ 3200 ლარი; გადამზადებისათვის გამოყოფილია 5400 ლარი (აკადემიური პერსონალისათვის - 3000 ლარი, ადმინისტრაციული პერსონალისათვის 1500 ლარი). უნივერსიტეტში არის საბიბლიოთეკო სივრცე, თუმცა უშუალოდ აკადემიური პერსონალისათვის არ არის გამოყოფილი სივრცე, ინდივიდუალური სამუშაო მაგიდებით, ტექნიკითა და სხვა აღჭურვილობით. უნივერსიტეტმა შეუქმნა სტუდენტებს დასვენებისა და განტვირთვის სივრცე. თანამედროვე ტენდენციები არის კიდევ სტუდენტზე მაქსიმალური ორიენტაცია. თუმცა რატომ არ გახდა პრიორიტეტული აკადემიური პერსონალისათვის შესაბამისი სამუშაო გარემოს შექმნა და სალექციო სივრციდან პირად სამუშაო სივრცეში გადასვლის შესაძლებლობა, გაუგებარია. ეს პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული პოლიტიკის შეფასების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დეტალად უნდა იქნეს მიჩნეული. აკადემიურ პერსონალს არასალექციო დღესაც უნდა შეემდოს სამსახურში გამოცხადება, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელება, სალექციო-სასემინარო მიზნებისთვის შესაბამისი სამუშაოების წინასწარი ჩატარება და სხვა (მით უფრო აკადემიური პერსონალის იმ დატვირთვის გათვალისწინებით, რაც პროგრამაში ფიქსირდება).
- უნივერსიტეტს აქვს სპეციალური აქტი აკადემიური პერსონალის შეფასების შესახებ და იყენებს შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს.
- თვითშეფასების დოკუმენტი მიუთითებს აკადემიური პერსონალის კვლევის ხარისხზე, მათ საერთაშორისო მიბილობაზე, საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტებში მონაწილეობაზე, თუმცა არ არის ნათელი უშუალოდ უნივერსიტეტის ორგანიზებით, სახელით, ლიდერობით, დაფინანსებით, ხელშეწყობით, რომელ სამეცნიერო და კვლევით პროექტებში იქნა უზრუნველყოფილი აკადემიური პერსონალის ჩართვა, გაცვლა და სხვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ვიზიტის დროს გასაუბრება.
- აკრედიტაციის მიზნებისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მათ შორის თვითშეფასება, კითხვარები, საუნივერსიტეტო აქტები, პროგრამის ბიუჯეტი

რეკომენდაციები:

○ რამდენადაც აკადემიური პერსონალის განვითარება პროგრამის ხარისხის და დინამიკაში გაძლიერების გარანტორია, უმნიშვნელოვანესია აკადემიური პერსონალის ხელშეწყობა და მხარდაჭერა უშუალოდ უნივერსიტეტის მხრიდან, რაშიც იგულისხმება დახმარება და წახალისება შემდეგი მიმართულებით: - საერთაშორისო (უცხოეზვან ან ორენოვან) შესაფერის სამართლის სამეცნიერო ჟურნალებში სტატიათა გამოქვეყნება. - სახელმძღვანელოების, ჰენდაუთების რედაქტირება და გამოცემა; - ქვეყნის გარეთ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა; - შიდა საუნივერსიტეტო კვლევებში ჩართულობის უზრუნველყოფა (შესაბამისი დაფინანსებით). - საერთაშორისო კვლევით და სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობის უზრუნველყოფა ან ამისთვის სათანადო პირობების შექმნა (შესაბამისი ანაზღაურებით). - გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა (Erasmus+, სხვა). - და სხვა. ○ პერსონალის განვითარებისათვის არსებითად მნიშვნელოვანია სათანადო ბიუჯეტი, დაფინანსების წყაროები, განვითარების სამუშაო თუ სხვა პირობების შექმნა-გაძლიერება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროგრამის სათანადო უზრუნველყოფას, რა თქმა უნდა, სჭირდება შესაბამისი საბიბლიოთეკო რესურსის ქონა, რომელიც განსაკუთრებული დატვირთვისაა აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის. ვიზიტისას, პირველ რიგში მოთხოვნილ იქნა იმ საერთაშორისო ბაზების გამოყენების სტატისტიკა (რომელზეც მიუთითებს უნივერსიტეტი, რომ შეძენილი აქვს) და ამ სტატისტიკის შეფასების/ანალიზის დოკუმენტი. უშუალოდ გასაუბრებისას, ადმინისტრაციის მხრიდან სრული პასუხები ვერ იქნა გაცემული სტატისტიკასთან დაკავშირებით, მაგრამ ვიზიტის დასრულებისას, მოწოდებულ იქნა ბაზების გამოყენების სტატისტიკის ფაილები. **სტუდენტებთან, როცა დაისვა შეკითხვა** - ბოლოს რომელი საერთაშორისო ბაზიდან (რომლებზეც უფასო წვდომა აქვთ) რომელი ლიტერატურა მოიძიეს და გამოიყენეს, პასუხი ვერ გასცეს, არ გასცეს, ან თქვეს რომ არ ახსოვთ. მხოლოდ ერთმა სტუდენტმა უპასუხა, რომ მოიპოვა ლიტერატურა *ეროვნულ აგარიშთა სისტემა*. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა (ეას/SNA) არის ეკონომიკური სტატისტიკის წარმოების, ეკონომიკურ-სტატისტიკური და საერთაშორისო შედარებითი ანალიზის მიზნით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ევროპის გაერთიანების კომისიის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის და მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული საერთაშორისო სტანდარტი. ამ სფეროში დოკუმენტები ძირითადად ხელმისაწვდომია ღია საიტებზე. ამიტომაც ბოლომდე გასაგები არ იყო, უშუალოდ რა დოკუმენტი მოიპოვა სტუდენტმა იმ საერთაშორისო ბაზებიდან, რომელზეც სპეციალური უფასო წვდომა შესყიდული აქვს უნივერსიტეტს.
- აკრედიტაციის დოკუმენტაციაში მითითებული იყო, რომ უშუალოდ საერთაშორისო იურიდიულ ლიტერატურაზე წვდომა შესაძლებელია ამ ლინკზე: <https://www.cambridge.org/core> საიტს აქვს ღია წვდომის შესაძლებლობა, თუმცა უმეტესწილად აქვს ფასიანი მომსახურება. ამდენად, ვიზიტის დროს, ვთხოვეთ, იმ ფასიან წყაროებზე უფასოდ წვდომის დემონსტრირება, რომელიც უნივერსიტეტს-გარეთ მყოფი პირისთვის ხელმისაწვდომი არ არის. ამ მიზნით დავეუსახელეთ კონკრეტული ლიტერატურაც - European Labour Law, Brian Bercusson. დემონსტრირებისას რამდენიმე გამოცემა (edition) დააფიქსირა საიტმა, თუმცა მათზე წვდომა შეუძლებელი იყო (მხოლოდ ანოტაციაზე). პასუხად მივიღეთ, რომ სახელმძღვანელოების შესყიდვა არ არის გათვალისწინებული პაკეტში, მხოლოდ ჟურნალებიო. ვთხოვეთ, რომელიმე ფასიან ჟურნალზე წვდომის დემონსტრირება. ჟურნალი თავად შეარჩია ადმინისტრაციის წარმომადგენელმა. შერჩეულ ჟურნალსაც ჰქონდა ღია და დახურული სტატიები. ამ შემთხვევაშიც წვდომა შესაძლებელი იყო ღია/საჯარო სტატიებზე. (აქვე დაშვებას

ვაკეთებ, რომ შესაძლოა დისტანციურმა დათვალიერებამ გარკვეულწილად ვერ წარმოაჩინა კარგად საერთაშორისო ბაზების შესყიდვით მიღებული შესაძლებლობები, თუმცა ზემოაღნიშნული მოითხოვს დაფიქსირებას). ○ საბიბლიოთეკო შიდა რესურსების კონტექსტში ადმინისტრაციას ეთხოვა 2 წიგნის მოძიების დემონსტრირება: 1. ა. ზენაიშვილი, შრომის სამართლის კომენტარები, კატალოგში იყო აღრიცხული და აქვე აღნიშნეს, რომ ბეჭდური ფორმით აქვთ ბიბლიოთეკაში. 2. მ. ტურავა, საერთაშორისო სისხლის სამართლის საფუძვლები კატალოგში არ მოიძებნა. (ტურავას სხვა გამოცემები ფიქსირდებოდა). ○ ბიუჯეტი არ არის დამაჯერებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ნაწილში. ის, რომ უნივერსიტეტს ავტორიზაცია აქვს გავლილი და დაკმაყოფილებული აქვს სტანდარტები ავტორიზაციის პერიოდისათვის არსებული პროგრამების განხორციელების კონტექსტში, არ ნიშნავს, რომ ახალ პროგრამას არ უნდა ჰქონდეს ინდივიდუალური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ან გაძლიერების მყარი საფუძვლები. ბიუჯეტში, რა თქმა უნდა, არის მატერიალური რესურსების სხვადასხვა გრაფა, თუმცა მწირია. ამასთან, არ ფიგურირებს აკადემიური პერსონალის, განსაკუთრებით, აფელირებული პერსონალისთვის შექმნილი სამუშაო პირობების და განვითარების შესაძლებლობების წყაროები. ○ უნივერსიტეტს ჰყავს სამასამდე სტუდენტი. ბიბლიოთეკაში კი არის 5 კომპიუტერი და 10 პლანშეტი. ამ ახალი პროგრამით დაგეგნილია 60 სტუდენტის მიღება (რომ ფინანსურად უზრუნველყოს პროგრამის შესრულება). პროგრამას უნდა მოემსახუროს 32 პერსონალი (აქედან 27 აკადემიური და მოწვეული სპეციალისტები). ამის ფონზე ბიუჯეტში ფიგურირებს ერთი პრინტერის შეძენა (550 ლარი), სხვა მცირეფასიანი ტექნიკის შეძენა (350 ლარი) და მისთანები.	მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ გასაუბრება, დათვალიერება ○ აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი დოკუმენტაცია
რეკომენდაციები: ○ საერთაშორისო ბაზების გამოყენების სპეციალური ტრენინგების ან მუდმივი საინფორმაციო პოლიტიკის უზრუნველყოფა პერსონალისათვის, სტუდენტებისათვის, რომელთა ცოდნისა და განვითარებისათვის ნაყიდაა ეს ბაზები. არ არის აუცილებელი უნივერსიტეტმა გასწიოს დიდი (არათანაზომიერი) ხარჯები და მხოლოდ აკრედიტაციის მიზნებისთვის შეისყიდოს მეტი და მეტი იურიდიული საბიბლიოთეკო ბაზები. მთავარია, შექმნას უკვე შესყიდული, ხელთ არსებული ბაზების რეალური გამოყენების შესაძლებლობები და ეტაპობრივად განავითაროს. პროგრამა უნდა უზრუნველყოფდეს (პოზიტიური ზეგავლენით) ამ ბაზების აუცილებლად გამოყენების ვითარებას როგორც სტუდენტების მხრიდან, ასევე, აკადემიური პერსონალის მხრიდან (სილაბუსში მითითებული საშინაო დავალებების, რეფერატების, საბაკალავრო ნაშრომების შესრულების და სხვა აქტივობების კონტექსტში).	

○ მატერიალურ-ტექნიკური, ლოჯისტიკური ბაზა საჭიროებს გაძლიერებას, გაზრდას და ბიუჯეტშიც სათანადოდ ასახვას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ აკრედიტაციის მიზნებისთვის წარმოდგენილია 2 დოკუმენტი, რომელიც პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის დამადასტურებელია: 1.შემოსავლების დოკუმენტი, სადაც ერთადერთი გრაფაა შევსებული და აქ გაწერილია 60 სტუდენტის სწავლის საფასურის ერთობლივი რაოდენობა 150 000 ლარი. (ე.ი. თითოეული სტუდენტის სწავლის საფასური იქნება 2500 ლარი). მხოლოდ 60 სტუდენტის სწავლის

საფასურით განსაზღვრული პროგრამის ბიუჯეტი, რა თქმა უნდა, არ იწვევს დიდ ნდობას (იქნებ არ/ვერ მოხდეს 60 სტუდენტის მიღება).

2. პროგრამის ბიუჯეტის ხარჯვის დოკუმენტი, რომელსაც სრულყოფილი ბიუჯეტისთვის დამახასიათებელი რიგი ასპექტები აკლია.

- ვიზიტისას დადასტურდა, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტი არის მხოლოდ ერთი წლის. ზოგადად, მდგრადობის შეფასებისთვის, სასურველი იქნებოდა შედარებით ხანგრძლივადიანი საბიუჯეტო გათვლების წარმოდგენა, თუმცა ერთწლიანი ბიუჯეტის ფარგლებშიც არის შემდეგი სახის წუხილი:
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, აკადემიური პერსონალის დატვირთვა წლის განმავლობაში არის **1920 საათი**. ფაქტიურად, **12 თვის საათობრივი დატვირთვაა წარმოდგენილი (თვეში 160 საათით, კვირაში 40 საათით)**. ერთი მხრივ, კანონისმიერი სტანდარტია, რომ **11 თვის მუშაობის შემდეგ დასაქმებულს წარმოეშობა ანაზღაურებად შვებულებაზე უფლება**. ამდენად, წინასწარ განსაზღვრული საათობრივი დატვირთვა **11 თვეზე უნდა იყოს დადგენილი, მე-12 თვე ანაზღაურებადი შვებულებისთვის უნდა იყოს განსაზღვრული**. (ეს არის მინიმალური კანონიერი სტანდარტი. მხარეებს შეუძლიათ მოილაპარაკონ სხვა პირობებზე, რომელიც არ გააუარესებს დასაქმებულის მდგომარეობას. აქვე ვაფიქსირებ, რომ გაუგებარია ყველა აკადემიური პერსონალის სამუშაო დროის განსაზღვრა კვირაში 40 საათით. ამის ვალდებულება (აუცილებლად 40 საათი) არც ერთი კანონმდებლობით არ წარმოეშობა უნივერსიტეტს. ამით უნივერსიტეტი ზრდის საკუთარ ვალდებულებას, რომელსაც უნდა უპასუხოს ღირსეულად). 1920 საათიანი დატვირთვა კი მოითხოვს შესაბამის ანაზღაურებას. თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად უშუალოდ აკადემიური პერსონალის რაოდენობაა **14** (არის სხვა პერსონალიც). აქედან **9 პერსონალი არის აფელირებული**. ამ 9 აფელირებული აკადემიური პერსონალიდან ერთი არის აფელირებულ პროფესორი (1800 ლარი თვიური ხელფასი), 2 აფელირებული ასოცირებული პროფესორი (1500 ლარი თვიური ხელფასი), 4 აფელირებული ასისტენტ-პროფესორი (არ არის ცნობილი სახელფასო ბადე), 2 აფელირებული ასისტენტი (არ არის ცნობილი სახელფასო ბადე). აფელირება არ არის მხოლოდ ვალდებულება, აფელირება უფლებების ღირსეულად რეალიზების საშუალება უნდა იყოს, აკადემიური პერსონალის აკადემიური თავისუფლების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სრული ეფექტურობითა და ეფექტიანობის განხორციელების და ღირსეული ცხოვრების გარანტი უნდა იყოს. მხოლოდ 9 აფელირებული პროფესორის საშუალო თვიური ხელფასად რომ ავიღოთ ყველაზე მინიმალური ნიშნული - 1000 ლარი, 9 აფელირებული პროფესორის 12 თვიანი (ერთი წლის) ანაზღაურება წელიწადში შეადგენს 108 000 ლარს. $((9 \times 1000) \times 12 = 108\,000)$. პროგრამას კი უფრო მეტი პერსონალი ემსახურება (32). ამის ფონზე, პროგრამის ხარჯვის ნაწილში ვხედავთ, რომ წლის განმავლობაში აკადემიური პერსონალისათვის გამოყოფილია მხოლოდ **86 400 ლარი**. დაისვა შეკითხვები რექტორისა და რ.გ.-ის (ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსი) მიმართ. **სამწუხაროდ ორივესგან მივიღეთ სრულიად მოულოდნელი პასუხი, რომ თავიდან პროგრამის**

ამოქმედებისას ანაზღაურება სრული სახით ვერ იქნება გაცემული. ანაზღაურება იქნება გაცემული მხოლოდ იმ დატვირთვისთვის, რაც იქნება სალექციო (საკონტაქტო საათები), საათში 40 ლარის ოდენობით. პროგრამის შედეგებზე გასვლას ემსახურება მისი სრული სახით ამოქმედება, მათ შორის არა მხოლოდ ლექცია-სემინარების ჩატარების დაწყება, არამედ, პარალელურად, აკადემიური პერსონალის მხრიდან სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელება და სხვა. ძალიან დამაკნინებელია პროგრამისთვის, აკადემიური პერსონალისადმი ისეთი დამოკიდებულება, როგორიცაა თავიდან სრულად ვერ აუნაზღაურებენ განსაზღვრულ და შეთანხმებულ თანხას. მეორე მხრივ, ხაზგასასმელია ფაქტი, რომ სილაბუსების მიხედვით უშუალოდ საკონტაქტო საათების რაოდენობაც საკმაოდ დიდია, უმრავლეს შემთხვევაში არის 64 საათი, არის 79 საათიანი სილაბუსებიც. მხოლოდ საკონტაქტო საათებით ანაზღაურებაც ითხოვს სერიოზული წყაროების არსებობას. ○ ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ სტუდენტებზე დაგეგმილია 200 ლარიანი სტიპენდიის გაცემა. ეს ბიუჯეტში არ არის ასახული. ○ უნივერსიტეტს აქვს წახალისების ღონისძიებები, თუმცა ბიუჯეტში ეს გრაფა ცარიელია. ○ ბიუჯეტში არ ფიგურირებს საშვებულებო ხარჯები (ეს უცილობლად იწვევს შრომის კოდექსთან შესაბამისობის კუთხით განხილვას (ხელშეკრულებათა ვადების, მათი განგრძობადობის და სხვა ასპექტების გათვალისწინებითაც როგორც აკადემიური, ასევე, ადმინისტრაციული პერსონალისათვის). ○ ბიუჯეტში კვლევების ნაწილს დათმობლი აქვს 5700 ლარი, რაც საკმაოდ კრიტიკული ნიშნულია. (აქვე ვითვალისწინებ, რომ ეს არ არის სამაგისტრო პროგრამა, მაგრამ წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს, შედეგებში აღწერს და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულებისათვის დადგენილ წესებში მოითხოვს ისეთ კვლევით საქმიანობას, რომელსაც არსებითად სჭირდება სოლიდური დაფინანსება).	მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ გასაუბრება, დათვალიერება ○ აკრედიტაციისთვის მიზნებისთვის წარმოდგენილი დოკუმენტაცია
რეკომენდაციები: ○ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას უნდა ჰქონდეს დამაჯერებელი, განჭვრეტადი, რაციონალური, ქმედითი, რეალისტური ბიუჯეტი, რომელიც უზრუნველყოფს ყველა იმ ღონისძიების განხორციელებას, რაც კი ასახულია საუნივერსიტეტო აქტებში, სილაბუსებში, ხელშეკრულების ნიმუშებში, დანიშვნის ბრძანებებში, პროგრამაში და ა.შ. ○ საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი გამჭვირვალე უნდა იყოს პერსონალის შრომითი უფლებების დაცვის პოლიტიკის ფარგლებში.	

აფელირების პოლიტიკა არ უნდა იყოს მხოლოდ ვალდებულების პოლიტიკა აკადემიური პერსონალისათვის, ის უნდა იყოს მათი დაცვის, ღირსეული შრომისა და ყოფის/კეთილდღეობის განმსაზღვრელი. სხვაგვარად არის საფრთხე, აფელირების ინსტიტუტი, იქცეს არასახარბიელო პრაქტიკის ჩამოყალიბების ინსტრუმენტად.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა			✓	

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის შიდა ხარისხის შეფასებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. თვითშეფასების ანგარიშისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კონცეფციისა და პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად „უნივერსიტეტი ორიენტირებულია ხარისხის შიდა და გარე შეფასების მეთოდების და „დაგეგმე-განხორციელე-შეამოწმე-განავითარე (PDCA) ციკლის პრაქტიკაში განხორციელებაზე“.

ვინაიდან პროგრამა ახალია, ბუნებრივია, ექსპერტთა ჯგუფი ვერ მოახდენდა უშუალოდ პროგრამის ხარისხის შეფასების რეალურად განხორციელების შემოწმებას. შესაბამისად, იმის დადგენა, თუ რამდენად აკმაყოფილებს პროგრამა მოცემულ სტანდარტს, უნდა განხორციელდეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი დოკუმენტაციის, შედარების სახით უნივერსიტეტში მოქმედ პროგრამებზე ხარისხის უზრუნველყოფის განხორციელების შეფასებისა და ინტერვიუების პროცესში.

აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი, უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი დოკუმენტები, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კონცეფცია და პოლიტიკა, უნივერსიტეტის ხარისხის შიდა კვლევების პროცედურების სახელმძღვანელო და ურთიერთდასწრების პოლიტიკა, რომელთა შემუშავება 2019 წელს განხორციელდა, დეტალურად აღწერს ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს. წარმოდგენილია, ასევე, პროგრამაში ჩართულ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან გამოკითხვის ოქმების ფორმები და რეგულაციებით დადგენილია უკუკავშირის მექანიზმის განხორციელების პროცესიც. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი მოკლებული იყო შესაძლებლობას, შედარებისათვის ენახა ამ პროცესის პრაქტიკულად განხორციელების ამსახველი დოკუმენტები ნიმუშის სახით უნივერსიტეტში მოქმედ სხვა პროგრამაზე იმ მიზნით, რომ შეემოწმებინა დადგენილი რეგულაციების ქმედითობა. ამასთან, უნივერსიტეტში მოქმედი სხვა პროგრამის აქტიურ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგებმა აჩვენა, რომ რიგ შემთხვევებში, პრობლემურია უკუკავშირის მიღება სტუდენტების მიერ შუალედური და საბოლოო გამოცდის შედეგებზე.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის კომიტეტისა და სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმებითა და ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სხვადასხვა დაინტერესებულ პირთან ერთად ჩართული იყო პროგრამის შემუშავების პროცესში. წარმოდგენილი გამოკითხვების ფორმებით დასტურდება, რომ განხორციელდა პოტენციური დამსაქმებლებისა და 1991-2009წწ სამართლის პროგრამის

კურსდამთავრებულთა გამოკითხვები და შრომის ბაზრის ანალიზი, თუმცა, გამოკითხვებსა და შრომის ბაზრის ანალიზში მოცემული ინფორმაცია შედარებით მწირია. პროგრამაში, ასევე, ასახული იქნა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციებიც (სამართლის საბაკალავრო პროგრამის 2019 წლის 28 ნოემბრის სხდომის ოქმი N4).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კონცეფცია და პოლიტიკა ○ უნივერსიტეტის ხარისხის შიდა კვლევების პროცედურების სახელმძღვანელო ○ დაინტერესებული მხარეების კითხვარების ფორმები ○ სამართლის საბაკალავრო პროგრამის 2019 წლის 28 ნოემბრის სხდომის ოქმი N4 ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: ○ მიზანშეწონილია, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის რეალური ასახვა იმისათვის, რომ ნათლად იყოს წარმოჩენილი რეგულაციებით დადგენილი ციკლის პრაქტიკული შესრულება
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ვინაიდან პროგრამა ახალია და მას აკრედიტაცია არ აქვს გავლილი, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება გამოყენებული უნდა იქნას გარე ხარისხის შეფასების პროცესში უნივერსიტეტის მიერ განსახორციელებელი ქმედითი ღონისძიებების თვალსაზრისით. გარე ხარისხის შეფასების თვალსაზრისით, გასათვალისწინებელია პროგრამის შემუშავებაში გარე ექსპერტების მონაწილეობის საკითხიც. აღსანიშნავია, რომ აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის სხდომის ოქმის (<i>ოქმი N6, 3 თებერვალი, 2020 წელი</i>) მიხედვით პროგრამის განმავითარებელი შეფასება წარმოდგენილი იქნა პროფესორ ჰოვარდის მიერ. ოქმი აღნიშნავს, რომ პროფესორის დასკვნა და მისი რეკომენდაციები აისახა პროგრამის შემდგომ განვითარებაში, აღნიშნული გარემოება დადასტურდა ინტერვიუს პროცესში აღნიშნულ გარე შეფასებასთან დაკავშირებით ექსპერტის მიერ დასმული შეკითხვის ფარგლებში, დაზუსტდა, რომ საუბარია ოპიოს ჩრდილოეთ უნივერსიტეტის პროფესორ ჰოვარდ ნ. ფენტონზე და აღნიშნული დასკვნა ექსპერტთა ჯგუფის წევრებისათვის წარმოდგენილი იქნა ვიზიტის დღეს (ვორდის დოკუმენტის სახით). თუმცა, პროგრამის გარე შეფასების აღნიშნული საკითხი წამოიწია უშუალოდ ექსპერტების მხრიდან დისტანციურ ვიზიტამდე აკრედიტაციისათვის უნივერსიტეტის მხრიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად. თავად თვითშეფასების ანგარიში ამ შეფასებაზე არაფერს ამბობს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის სხდომის ოქმი (<i>ოქმი N6, 3 თებერვალი, 2020 წელი</i>) ○ სამართლის პროგრამა ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: ○ მიზანშეწონილია, თვითშეფასების ანგარიშში აისახოს პროგრამის გარე ხარისხის შედეგები სრულყოფილად, მათ შორის ამ შეფასების შედეგები და მათი გათვალისწინება პროგრამის შემუშავებისა თუ ცვლილების პროცესში
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ვინაიდან პროგრამა ახალია, ბუნებრივია, ექსპერტთა ჯგუფი ვერ მოახდენდა უშუალოდ სამართლის პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების რეალურად განხორციელების შემოწმებას. შესაბამისად, იმის დადგენა, თუ რამდენად აკმაყოფილებს პროგრამა მოცემულ სტანდარტს, უნდა განხორციელდეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი დოკუმენტაციის, შედარების სახით უნივერსიტეტში მოქმედ პროგრამებზე ხარისხის უზრუნველყოფის განხორციელების შეფასებისა და ინტერვიუების პროცესში. აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი, უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი დოკუმენტები, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კონცეფცია და პოლიტიკა, უნივერსიტეტის ხარისხის შიდა კვლევების პროცედურების სახელმძღვანელო და ურთიერთდასწრების პოლიტიკა, რომელთა შემუშავება 2019 წელს განხორციელდა, დეტალურად აღწერს ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს. წარმოდგენილია, ასევე, პროგრამაში ჩართულ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან გამოკითხვის ოქმების ფორმები და რეგულაციებით დადგენილი უკუკავშირის მექანიზმის განხორციელების პროცესიც. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი მოკლებული იყო შესაძლებლობას, შედარებისათვის ენახა ამ პროცესის პრაქტიკულად განხორციელების

ამსახველი დოკუმენტები ნიმუშის სახით უნივერსიტეტში მოქმედ სხვა პროგრამაზე იმ მიზნით, რომ შეემოწმებინა დადგენილი რეგულაციების ქმედითობა. მაგალითად, 2019 წელს უნივერსიტეტში მიღებული „ურთიერთდასწრების პოლიტიკის“ დოკუმენტის შესაბამისად პროგრამის მონიტორინგისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ხორციელდება სააუდიტორიო მუშაობაზე დაკვირვება, რომლის უფლებაც ეძლევათ ურთიერთდამსწრეთა სამუშაო ჯგუფში შემავალ პირებს (*ფაკულტეტის დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროგრამების კოორდინატორი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელი და ერთი აკადემიური პერსონალი*) და დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ შერჩეულ აკადემიურ პერსონალს. ურთიერთდასწრების სამუშაო ჯგუფის მიერ შედგენილი ოქმის ანალიზს ახორციელებს დეპარტამენტი და პროგრამის ხელმძღვანელი. ანალიზის შედეგები კი წარედგინება ურთიერთდამსწრეთა სამუშაო ჯგუფს. ურთიერთდასწრების ოქმის ნიმუში და სამუშაო ჯგუფის განრიგის ნიმუში თან ერთვის „ურთიერთდასწრების პოლიტიკის“ შესახებ დოკუმენტს, თუმცა, ამ პროცესის პრაქტიკულად განხორციელების შესამოწმებლად უნივერსიტეტის მიერ არ წარმოდგენილა მოქმედ პროგრამაზე განხორციელებული შესაბამისი ურთიერთდასწრების პოლიტიკით გათვალისწინებული პროცესის ამსახველი ოქმი და ოქმის ანალიზის შედეგები.

სამართლის პროგრამის განვითარებისათვისათვის მიზანშეწონილია, მისი უცხოური უნივერსიტეტის ანალოგიურ პროგრამასთან დადარება, დადარების შედეგების ანალიზი და, აუცილებლობის შემთხვევაში, შედეგების გამოყენება. აღნიშნული ანალიზი აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი არ ყოფილა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კონცეფცია და პოლიტიკა
- უნივერსიტეტის ხარისხის შიდა კვლევების პროცედურების სახელმძღვანელო
- უნივერსიტეტის ურთიერთდასწრების პოლიტიკა
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- სამართლის პროგრამის განვითარებისათვისათვის მიზანშეწონილია, მისი უცხოური უნივერსიტეტის ანალოგიურ პროგრამასთან დადარება, დადარების შედეგების ანალიზი და, აუცილებლობის შემთხვევაში, შედეგების გამოყენება. აღნიშნული ანალიზი აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი არ ყოფილა
- მიზანშეწონილია, წარმოდგენილი იქნეს ურთიერთდასწრების პოლიტიკით განსაზღვრული პროცესის ამსახველი დოკუმენტი შესრულებული ოქმისა და ანალიზის შედეგების გათვალისწინებით

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		✓		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)
 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს ქუთაისის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სამართლის საბაკალავრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 71

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			✓	
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			✓	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		✓		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა			✓	
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		✓		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნინო ბოგვერაძე




აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ეკატერინე ქარდავა



სახელი, გვარი, ხელმოწერა გიორგი დგებუაძე



სახელი, გვარი, ხელმოწერა რუსლან ზედიევი

